

ალექსანდრე კვიპრელის ქრონიკა


„8006006083“

1978

აღექსანდრე კვიპრის ქრისტე

(X—XIV სს. ხელნაწერების მიხედვით)

თავსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოგვლევა,
პომინტარები და ლექსიკონი დაურთო
თამილა მჩალობლივილება



გამოსცემის „მიცნობება“

თბილისი

1978

შესავალი

ბიზანტიურ ლიტერატურაში ქრონიკებია, როგორც ისტო-
 რიული ლიტერატურის ერთ-ერთი სახე, IV საუკუნეში ჩაისახა. დას-
 რულებული ფორმა მან მხოლოდ VI საუკუნეში მიიღო იოანე მალა-
 ლას შემოქმედებაში.

როგორც ცნობილია, ძველი ქართული ლიტერატურა საუკუნე-
 ბის მანძილზე ბიზანტიურ ლიტერატურასთან მჰიდრო კავშირში
 ვითარდებოდა. ქართული მწერლობის განვითარების ადრეულ პე-
 რიოდში, V საუკუნიდან მოყოლებული, ქართველი მწერლები, მთარ-
 გმნელები და მეცნიერნი ორიგინალურ შემოქმედებასთან ერთად
 ეწეოდნენ ნაყოფიერ მთარგმნელობით მოლვაწეობასაც (ბერძნული-
 დან, ორაბულიდან, სირიულიდან, სომხურიდან).

ქართული ორიგინალური ისტორიული ლიტერატურის შესწავ-
 ლა წარმოუდგენელია ამ ქანრის ნათარჯმის ძეგლების გაოვალისწი-
 ნების გარეშე.

როგორც ჩანს, ქართველი მოლვაწენი ამგვარი ხასიათის თხზუ-
 ლებათა თარგმანებს (განსაკუთრებით მხედველობაში გვაქვს უძვე-
 ლესი ქრონიკები) დად მნიშვნელობას ანიჭებდნენ. VIII საუკუნის
 პირველ ნახევარშია უკვე თარგმნილი იპოლიტე რომაელის ქრონიკა,
 რომლის ძველი ქართული ვერსია შემონახულია ისეთ უძველეს
 ხელნაწერებში, როგორიცაა: შატბერდის კრებული (S—1141) —
 973—976 წლებში გადაწერილი, იერ. 44—XII—XIII სს., იერ.
 74—X III—XVIII სს. და სხვა!

ქრონიკებისადმი დიდ ინტერესზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ
 ამგვარი ხასიათის როგორც ორიგინალური, ასევე ნათარჯმი თხზუ-
 ლებები დაცულია უძველეს ქართულ კრებულებში, მრავალთავებში:

ქრონიკების ადრეულ თარგმანთა შორის უნდა დავისახელოთ
 ალექსანდრე კვიპრელის ქრონიკის — კვრის გამოჩინების საკითხა-
 ვის — თარგმანიც. ამ საკითხავის ფრაგმენტები IX საუკუნის პალი-

¹ ილ. აბე ლამე, იპოლიტე რომაელის ქრონიკის ძველი ქართული ვერსია,
 ხელნაწერთა ინსტიტუტის მომზე, III, თბ., 1961, გვ. 223—243.

მფსესტური ხელნაწერის მიხედვით გამოაქვეყნა ჩ. ორბელიშვილი. მან, მართალია, ვერ დაადგინა მის მიერ გამოქვეყნებული ფრაგმენტების ავტორი, მაგრამ აღნიშნა მათი დიდი სიახლოეს ძველი ბიზანტიური ქრონიკების ტექსტებან².

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია ამ უძველესი ქრონიკის — ალექსანდრე კვიპრელის ჯრის გამოჩინების საკითხავის — კრიტიკულად დადგენილი ტექსტი, სათანადო ფილოლოგიური აპარატით. ქართული თარგმანი შედარდა ალექსანდრე კვიპრელის თხზულების ბერძნულ რედაქციის. ამ გზით შესაძლებელი გახდა ქართული თარგმანის წყაროს საკითხის გარევევა. ქართულმა თარგმანმა ახლებურად გააშუქა ალექსანდრე კვიპრელის საკითხავთან დაკავშირებული რიგი საკითხი და უფრო აშკარა გახდა, თუ რა დაღი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს უძველეს ქართულ თარგმანებს, როგორც ბიზანტიულ ავტორთა, ასევე ქართული ისტორიული თხზულებების შესწავლის საქმეში.

ალექსანდრე კვიპრელი მონაზენის (იგივე ალექსანდრე სალამინელის) შესახებ თითქმის არავითარი ბიოგრაფიული ცნობები არ არის შემონახული. მისი ერთ-ერთი თხზულების — „Εγκώμιον εἰς Βαρνάβην τὸν ἀπόστολον“ — მიხედვით იგი იყო წმ. ბარნაბის მონასტრის მონაზონი ქალაქ სალამინში კვიპროსზე³.

იმის გამო, რომ მის ერთ ნაწარმოებში კონსტანტინოპოლის პატრიარქი მოიხსენიება „მსოფლიო პატრიარქის“ ტიტულით, ო. ბარდენენევერი ვარაუდობს, რომ ამ თხზულების ავტორი VI საუკუნის მოღვაწე უნდა ყოფილიყო, რადგანაც უფრო ადრე ამ ტიტულით კონსტანტინოპოლის პატრიარქის სხენება ცნობილი არ არის.

ლიტერატურული ტრადიცია ამ ავტორს მიაწერს ორ ქადაგებას, ორ ენეომიას და მის თხზულებათა შორის მეტად ცნობილს — „Λόγος εἰς τὴν εὑρεσίν τοῦ τιμέου καὶ χωροποιοῦ σταυροῦ“.

² P. Орбели. К исследованию одного грузинского палимпсеста из лавры св. Саввы. Эллинистический ближний Восток. Византия и Иран. Москва. 1967. стр. 125—135.

³ ვ. გვ. 131—133. ჩ. ორბელის მიერ გამოქვეყნებული ფრაგმენტები მ. ვან ესბრეიქის მინინის ეგვეგი კესარიელის საეკლესიო ისტორიის ნაწილიდან: M. van Esbroeck. Les plus anciens homéliaires géorgiens. Louvain, 1975, გვ. 35.

⁴ O. Bardenhewer, Geschichte der altkirchlichen Literatur, bd. 5. Darmstadt, 1962, გვ. 144.

⁵ O. Bardenhewer, Geschichte... გვ. 145.

ალექსანდრე კვიპრელს VI საუკუნის მოღვაწედ თელის საცვე მ. ვან ესბრეიქის: M. van Esbroeck. Les plus anciens homéliaires géorgiens... გვ. 271—272.

ჩვენი შესწავლის საგანს წარმოადგენდა ალექსანდრე კვიპრელი
მონაზენის სწორედ ეს თხზულება.



ხელნაწერი

ამ საკითხავის ძველი ქართული თარგმანი — „საკითხავი პოვნისათვეს პატიოსნისა და ცხოველს-მყოფელისა ჯუარისა აღწერილი ალექსანდრეს მიერ ქვპრელ მონაზონისა, რომელსა ევედრნეს მრავალგზის წმიდანი მამანი“ — შემონახულია უძველეს ქართულ ხელნაწერებში, როგორიცაა: Sin. 93 (დღეისათვის Garrett—24), X ს; Sin. 92, მინგანა ქართ. 4, X ს; ბოდლეს წიგნთსაცავის ხელნაწერი Ox. № 1, XI ს; ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერები: Q—762, XIII—XIV სს. და A—518, XVIII საუკუნის ნუსხა. თხზულების ფრაგმენტები იღმოჩნდა X საუკუნის „ქლარჯულ მრავალთავში“ (A—144-სა) და ლენინგრადის აღმოსავლეთმცირნეობის პალიმფსესტურ ხელნაწერში (M—13, IX—X სს.)⁶, რომლის ჩვენთვის საინტერესო ქვედა ფენა, რუსუდან ორბელის აზრით, „მრავალთავს“ უნდა წარმოადგენდეს.

1. ტექსტის დადგენისას ძირითად ნუსხად გამოვიყენეთ Sin. 93-ის ტექსტი. ხელნაწერი შეიცავს მხოლოდ ალექსანდრე კვიპრელი მონაზენის ზემოთ დასახელებულ ნაწარმოებს. ტექსტს აკლია დასაწყისი, დაბოლოება და, ამასთან ერთად, ცნობა ავტორის შესახებ. ხელნაწერის ამიაზე სხვადასხვა ადგილას გვხვდება სამი სათაური:

- ა. „საკითხავი ჯუარის გამოჩინებისაა“ (18v—19r, 26v—27r);
- ბ. „საკითხავი ჯუარის პოვნისაა“ (82v—83r, 94v—95r);
- გ. „ჯუარის პოვნისათვის საკითხავი“ (66v—67r).

ეს სათაურები, რომლებიც არ უკავშირდებიან ტექსტის სიუჟეტს და განსხვავებული ხელითაც არიან მიწერილი, ჩვენი აზრით, შედარებით გვიანდელი წარმოშობისაა.

ხელნაწერი X საუკუნის პალიმფსესტია, ზედა ქართული ფენა გადაწერილია ცნობილი კალიგრაფის იოანე-ზოსიმეს მიერ. ქვედა ფენა კი ბერძნულ ტექსტს წარმოადგენს. მეტად საინტერესოა თვით ამ ხელნაწერის ისტორია: იგი პირველად აღწერა ალ. ცაგარელმა. აღწერილობაში ვკითხულობთ: «...рукопись Sin 93—Сказание о сошествии Иисуса Христа и распространении христианства, 3 $\frac{1}{2}$ вершк. длин. 2 $\frac{2}{3}$, шир. 109 л., на пергаменте, палимпсест. Пись-

* Р. Орбели. К исследованию одного грузинского палимпсеста....
стр. 125—135.

мо строчное, четкое, без всяких украшений. Начала и конца недостает. Начинается: „არიან და უცვალებელ ჩუტნოს და ჩუ-
ტნისა ცხოვრებისათვს მოღრივნა ცანი და გარდამოქდა და ცათაგან
განუშორებელ იყო და დაემჟდრა მუცელსა ღსმშობლისასა... Окан-
чивается: ხოლო ვითარ მოვიდა არა ქმნილი, მსგავსი მამისა, და დაუ-
ტევა ნებსით“... Печерк писца Иоанна Синайского Х в.⁷ ალ.
ცაგარლის შემდეგ ეს ხელნაწერი დაკარგულად ითვლებოდა. მას ვერ
მიაგნეს ვერც ნ. მარმა და ივ. ჯავახიშვილმა და ვერც ე. გარიტმა
სინაზე ყოფნისას. მხოლოდ 1967 წელს გამოქვეყნდა ე. გარიტის ცნო-
ბა ერთი ქართული ხელნაწერის—Garrett 24-ის შესახებ⁸. ე. გარიტ-
მა შეისწავლა გარეტის კოლექციის ეს ნუსხა და დაადგინა, რომ იგი
ალ. ცაგარლის მიერ 1883 წელს აღწერილი Sin. 93-ის იდენტურია.

ბელგიელი მეცნიერი ალნიშნავს, რომ ხელნაწერი, გადაწერილი
სინაზე X საუკუნეში, სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში ინა-
ხებოდა ცხრა საუკუნის მანძილზე, იმ დრომდე, ვიდრე ერთმა პა-
ლიმფსესტების მოყვარულმა, უფრო ცნობისმოყვარემ, ვიდრე მეც-
ნიერმა იგი არ წამოიღო სინას მთიდან 1883—1902 წლებს შორის.

კარგა ხნის შემდეგ, 1922 წელს ხელნაწერი აღმოჩნდა შეტანი-
ლი ლაპციგში ანტიკვარ ჰირსემანის კატალოგში, რომელმაც იგი
1500 შევიცარულ ფრანგად შეაფასა. ეს კატალოგი შეიცავს ა. ბაუმ-
სტარეის მიერ შესრულებულ ამ ხელნაწერის აღწერილობას, რო-
მელშიაც ხელნაწერი შეცდომით განსაზღვრულია როგორც ჰიმნების
კრებული.

დაახლ. 1922 წელს ხელნაწერი შეიძინა ამერიკელმა ბიბლიო-
ფულმა რობერტ გარეტმა, რომელმაც 1942 წელს სხვა მრავალ ხელ-
ნაწერთან ერთად ჩვენთვის საინტერესო ცალიც გადასცა ჰიმნსტო-
ნის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას, სადაც იგი დღემდე ინახება გა-
რეტის კოლექციაში 24-ე ნომრით. აქაც ხელნაწერი მიჩნეულია ჰიმ-
ნების კრებულად და მითითებულია ბაუმსტარეის აღწერილობა.

1883 წელს, მაშინ როდესაც ხელნაწერი აღწერა ალ. ცაგარელმა,
მასში 109 ფურცელი იყო, ახლა კი მხოლოდ 99 ფურცელიდა გადარ-
ჩენილი. ერთ-ერთ დაკარგულ ფურცელს ე. გარიტმა მიაკვლია Selly
Oak Colleges-ში (ბირმინგემი) ბიბლიოთეკაში დაცულ მინგანას კოლექ-

⁷ А. А. Цагарели. Сведения о памятниках грузинской письменности. Вып. II. СПб. 1889. стр. 98.

⁸ G. Garitte. Aventures et mésaventures d'un manuscrit géorgien (Le cod. Garrett 24, Princeton). Bedi Kartlisa. Paris. 1967. № 52-53, გვ. 37-53.

ციაში, მინგანა ქართული 4⁹, დანარჩენი რამდენიმე დაკარგული ფურცელი აღმოჩნდა გერინგენის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, სადაც ეს ფურცლები კატალოგში გატარებულია, როგორც სირიული ხელნაწერის ფრაგმენტები¹⁰.

როგორც ჩანს, Sin. 93-ის ბოლო ნაწილი უნდა ყოფილიყო Sin. 92, რომელიც 29 ფურცელს შეიცავდა. Sin. 93-ის დაშლის გამოს შემთხვევით ცალკე ხელნაწერად მიუჩნდევია და ოლუწერია ალ. ცაგარელს¹¹. ამ ვარაუდს ადასტურებს ის გარემოებაც, რომ ეს ორი ხელნაწერი ერთმანეთის მომდევნო რიგითი ნომრებითაა ოღრიცხული (Sin. 92 და Sin. 93)¹².

ჩვენ მიერ დადგენილ ტექსტში საკითხავის ეს ნაკლული ნაწილი შევსებული გვაქვს Q—762 ხელნაწერიდან, რომელიც სავსებით თანხელება Sin. 92-ის დასაწყისს, სადაც ვკითხულობთ: „ხოლო ჩ“ არა ქუცყანისა გვრგვნსა მიგიძლუანებთ, — რამეთუ ქუცყანისა ნიჭისა იღსასრული აქვს, ხოლო ზეცისა ნიჭისა წარუვალი აქვს შეწვნად“...¹³.

სამწუხაოდ, Sin. 92 დღეისათვის დაკარგულია. ხელნაწერი იმითაც არის საყურადღებო, რომ მან შემოგვინახა იოანე-ზოსიმეს ანდერძიც, რომლის მიხედვითაც ხელნაწერი გადაწერილია 986 წელს: „ოდეს ესე წიგნი დაიწერა და განსრულდა და შეიმოსა ქელითა იოანე ფ-დ ცოდვილისათა სინაწმიდასა, დასაბამიდგან წელნი იყუნეს ქართულად ხ ფ ე (986 წ.) და ქ'ნი იყო ს ვ (986 წ.) და ბერძულად წელნი იყვნეს ხ ფ თ ი (6519—986 წ.) და ქ'ნი უდ (94 წ.), ინდიქტომი იყო იდ. ქ-ე შ- გაბრიელ, გიორგი, მიქელ, კირი-

⁹ G. Garitte. Les feuillets géorgiens de la collection Mingana à Selly Oak (Birmingham). Le Muséon, 1960, LXXIII, 3-4, გვ. 249-251, ქ. გ-ო-რ-ი-ო, მინგანას კოლექციის ქართული ფურცლები Selly Oak-ში (ბიბლიოგრამა), „მიცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1973, № 3, გვ. 176—177. G. Garitte. Aventures et mésaventures d'un manuscrit géorgien.... გვ. 45-46.

¹⁰ G. Garitte. Aventures et mésaventures d'un manuscrit géorgien.... გვ. 46—47.

¹¹ А. А. Цагарели. Сведения о памятниках грузинской письменности.... стр. 97—98.

¹² იქვ. გვ. 97—98.

¹³ А. А. Цагарели. Сведения о памятниках грузинской письменности.... стр. 97. მდრ. ოლექსინდრე ქვაბულის საკითხების ტექსტი, გვ. 76.

ლე, მიქაელ, იოანე, ბასილი და ყოველნი ძმანი და ყოველნი ქრის-
ტიანენი, ა—61⁴.

2. შემდეგი ხელნაწერი, რომელშიაც დაცულია ოლექსანდრე
კვიპრელი მონაზვნის ზემოთ დასახელებული თხზულება, არის
Ox. ქართული № 1 — XI საუკუნის კრებული, ეტრატი, 500 ფ.,
39×25 სმ, ტექსტი გადაწერილია ნუსხურით. ხელნაწერის აღწერი-
ლობა ეკუთვნის პ. პეტერს!⁵ ჩვენი ტექსტი ამ ხელნაწერში გატა-
ნილია შემდეგი სათაურით: „საკითხავი პოვნისათვს ცხოველს-მყო-
ფელისა პატიოსნისა ჭუარისა და ქებად შესხმისად, აღწერა აღექ-
სანდროს მონაზონმან კვპრელმან, რომელი იყო ქალაქისა ამათონ-
ტონისად. ძალისათვს ევედრნეს მრავალგზის წმიდანი მამანი“ (394გ). ხელნაწერი ძალზე დაზიანებულია.

3. Q—762. XIII—XIV სს. ხელნაწერია. შეიცავს აგიოგრაფი-
ული და ჰომილეტიკური ხასიათის ტექსტებს. გადაწერილია ნუსხუ-
რით. ქალალდი, 339 ფ., 24×18 სმ., გადამწერი — თეოდორე!¹⁶ ხელ-
ნაწერში ზემოთ ხსენებული ტექსტი გამოყოფილია შემდეგი სათა-
ურით: „საკითხავი პოვნისათვს პატიოსნისა და ცხოველს-მყოფელი-
სა ჭუარისა, აღწერილი ალექსანდრეს მიერ კვპრელ მონაზონისა, რო-
მელსა ევედრნეს მრავალგზის წმიდანი მამანი“ (გვ. 34).

4. A—518, ხელნაწერი ქალალდის, აგიოგრაფიულ-ჰომილეტი-
კური ხასიათის კრებული, 543 ფ., 20×16 სმ., ნაკლული, გადამწერი
დიმიტრი. გადაწერილია 1708 წ.¹⁷

5. A—144, „ქლარწული მრავალთავი“, X საუკ., ხელნაწერი ნაკ-
ლულია, შეიცავს ლიტურგიკული წლის მეორე ნახევრის საკითხა-
ვებს, ეტრატი, 421 ფ., 44×32 სმ., ნუსხური!¹⁸

¹⁴ А. А. Цагарели. Сведения о памятниках грузинской письменности.... стр. 98.

¹⁵ P. Peeters. De Codice Hiberico Bibliothecae Bodleianae Oxoniensis. Analecta Bollandiana. XXXI. Bruxelles. 1912, გვ. 301-318.

¹⁶ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, Q კოლექციისა, ილ. აბულაძის რედაქ-
ციით, თბილისი, 1958, გვ. 207—210.

¹⁷ Т. Жордания. Описание рукописей церковного музея. Тифлис. 1903, II გვ. 68-72. M. van Esbroeck. Les plus anciens homéliaires géorgiens.... გვ. 158-181.

¹⁸ Т. Жордания. Описание.... გვ. 150—152.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ჩვენ ძირითად ნუსხად გამოყიფენ რესტრის ტექსტი, როგორც უძველესი, მიუხედავად იმისა, რომ იგი ნაკლული იყო და შევავსეთ Q—762-ისა და Mingana 4 ხელნაწერების ტექსტით. რა თქმა უნდა, უპრიანი იქნებოდა Q—762 ხელნაწერის (XIII—XIV სს.) ნაცვლად ნაკლული ადგილები შეგვევსო ოქსფორდის კრებულში დაცული ტექსტით, მაგრამ ეს კრებული მეტისმეტად დაზიანებულია.

ტექსტის დადგენისას აღნიშნულ ხელნაწერთაგან ჩვენ გამოვრიცხეთ A—518, გვიანდელი, XVIII საუკუნისა, იმის გამო, რომ იგი არაფრით არ განსხვავდებოდა სხვა ჩვენს მიერ გამოყენებული უძველესი ხელნაწერებისაგან და ამდენად, ქართული რედაქციის კვლევისას რამე ახალ მასალას არ იძლეოდა.

ქართული თარგმანის შესწავლით დადგინდა, რომ ამ ხელნაწერებში დაცული ტექსტები ერთი რედაქციისაა და მათ შორის სხვაობა ვარიანტის ფარგლებს არ სცილდება.

Q—762 ხელნაწერში ჯვრის გამოჩინების ეპიზოდი მთლიანი ტექსტიდან გამოყოფილია სინგურით „შესრულებული სათაურით: „მაისსა შვდას გამოჩინებათ პატიოსნისა ჭუარისაა“ (გვ. 127გ), მაგრამ ეს ნაწილი დამოუკიდებელ ერთეულს არ წარმოადგენს. იგი ძირითადი ტექსტის შემადგენელი ნაწილია, ამიტომ გამოცემაში ჩვენ ის ცალკე თავად არ გამოვყავთ.

რაც შეეხება „კლარჯულ მრავალთავში“ (A—144) შემონახულ ამ თხზულების ფრაგმენტს, ამის შესახებ უნდა ითქვას შემდეგი: „კლარჯულ მრავალთავში“ ჯვრის შესხმა შესულია კირილე იერუსალიმელის სახელით — „საკითხავი ჭუარისათვალე“. ტექსტის შესწავლის შედეგად ჩვენს მიერ დადგენილია, რომ ეს საკითხავი არის ალექსანდრე კვიპრელი მონაზვნის ჯვრის საკითხავის ბოლო, მეოთხე ნაწილი. შეცდომა, რის გამოც ტექსტის ავტორად დასახელებულია კირილე იერუსალიმელი, საფიქრებელია, გამოწვეულია იმით, რომ ალექსანდრე კვიპრელი მონაზვნის თხზულებაში იერუსალიმში ჯვრის გამოჩინების ეპიზოდი დაკავშირებულია კირილე იერუსალიმელის სახელთან და აქვეა ნაწყვეტი მისივე ეპისტოლედან, რომელსაც უშუალოდ მოსდევს ჩვენთვის საინტერესო ტექსტი. ამის გამო იქნება შთაბეჭდილება, თითქოს ეს ტექსტიც კირილე იერუსალიმელს ეკუთვნის. „კლარჯული მრავალთავის“ და სხვა ნუსხების ტექსტებს შორისაც მხოლოდ ვარიანტული სხვაობაა.

Sin. 93-ში შემონახული ტექსტის შესწავლით გამომდევინდა, რომ ხელნაწერს შუაში, 89r—90r-ს შორის, აკლია ერთი ფურცელი, რომლის ტექსტიც შემონახულია სხვა დანარჩენ ხელნაწერებსა და შერძნულ ორიგინალშიც (იხ. ტექსტი).

და ბოლოს, ნუსხები მცირედ განსხვავდებიან ერთმანეთისა და შერძნული ორიგინალისაგან სათაურებით. ასე მაგ.:

Sin. 93 თავით აღმოჩენილია.

Q—762 — „საკითხავი პოვნისათვს პატიოსნისა და ცხოველს-მყოფელისა ჯუარისა, აღწერილი ალექსანდრეს მიერ კვპრელ მონაზონისა, რომელსა ევედრნეს მრავალგზის წმიდანი მამანი“.

Ox. ქართ. № 1 — „საკითხავი პოვნისათვს ცხოველს-მყოფელისა პატიოსნისა ჯუარისა და ქებად შესხმისამ. აღწერა ალექსანდროს მონაზონმან კვპრელმან, რომელი იყო ქალაქისა ამათონტონისამ. ძალისათვს ევედრნეს მრავალგზის წმიდანი მამანი“.

ბერძნ. „Λόγιος εἰς τὴν εὑρεσιν τοῦ τιμίου καὶ χαριτωμένου σταυροῦ“.

ამ მცირეოდნენ ვარიანტტულ სხვაობათა გათვალისწინება საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ალექსანდრე კვპრელი მონაზონის თხზულების ქართული თარგმანი უძველეს ხელნაწერებში მხოლოდ ერთი რედაქციით არის შემონახული.

ქართულ-გერმანული ტექსტების ურთიერთობისართვა

ალექსანდრე კვპრელი მონაზონის საკითხავის წყაროს დადგენის მიზნით, ქართული თარგმანი მთლიანად შევუდარეთ ბერძნულ რედაქციას. ბერძნული რედაქციისათვის ვისარგებლეთ აბატი მინის მიერ გამოცემული ტექსტით¹⁹.

ქართული და ბერძნული ტექსტების შეჯერებით გამომეულავნდა, რომ:

1. ზოგიერთ ნაწილში ქართული თარგმანი ზუსტად არ მისდევს ბერძნულს, სხვაობს მისგან, ასე მაგ:

„და ვითარე მიიწინეს ებისკოპოსნი იგი იერუსალემდ, პოვნეს წმიდანი ეკლესიანი კურთხეულნი და ალბეჭდულნი მირონითა და ეუწყა მათ საქმე იგი, ვითარე დ ათანასი ალექსანდრიელ მამათ-

¹⁹ Migne I. P., Patrologia Graecae. t. 87. Parisiis, 1862. col. 4016—4076.

მთავარმან განაახლნა და აკურთხნა ყოველნი წმიდანი ეკლესიინი იერუსალემისანი. ხოლო იგინი შეწუხნეს ფრიად ამისთვის, არამედ რამთა არა საანგმნო-ყონ ყოფილი იგი ღმრთისმიერი, აღასრულეს მათცა დღესასწაული იგი სატფურებისად წმიდათა ეკლესიათა იერუსალემისათა დიდითა სიხარულითა.

და რამეთუ წარმოეცა მეფესა სამსახურებელი წმიდათა ეკლესიათა კურპელი ოქროსად და ვეცხლისად მრავალფერთა თუალთაგან შემცული და ქვათაგან პატიოსანთა განდგმული და სამოსელი ფერად-ფერადი და ეზოები მრავალსასყიდლისად და საფასტ დიდძალი განსაყოფელად გლახაეთა და პატივად, რომელნი დახუდენ დღესასწაულსა მას.

და კუალად ვითარცა ეუწყა ქრისტეს მოყუარესა მეფესა, ვითარმედ აღესრულა დღესასწაული სატფურებისად წმიდათა ეკლესიათა იერუსალემისათა მრავლითა სიხარულითა, მაშინ დამხედ თაყუანის-სცა ლმერთსა და მხიარულითა პირითა შეწირა მაღლობად მისა, რომელმან მოქმიდლა დღეთა მისთა ესევითარი კეთილი, და უზეშთაეს და უფროს შეპმატებდა შჯულსა ქრისტეანობისასა მრავლითა გულს-მოდგინებითა და დაამჯობდა კერპთ-მსახურებასა. და ესე იყო მეოცდაათესა წელსა მეფობისა მისისასა“.

გვ. 72—73.

ბერძნ. col. 4065—4068.

2. არის შემთხვევები, როდესაც ქართული, მართალია, განსხვავდება ძირითადი ბერძნული ტექსტისაგან, მაგრამ თანხვდება მის ვარიანტს.

მაგ.:

„რიცხვ წელთა ტყუენვითგან იერუსალემისათ ვიდრე უკუნახსნელად მოცვამდე მისა და განსხმად ჰურითა — ორმეოცდაათ წელ“.

გვ. 54.

„Καὶ συνάγονται ἀπὸ τῆς ἀλώσεως Ἱεροσολύμων, ἵνα τῆς διστέρας πολιορκίας καὶ τῆς τῶν Ἰουδαίων τελείας ἐκβολῆς ἐτη πεντήκοντα ὅκτω“.

col. 4045

ვარიანტი № 47 — „ἐτη πεντήκοντα“

3. ზოგჯერ ქართული ნაკლულია ბერძნულთან შედარებით. მაგ.:

„Ἐπιφάνιος δὲ ὁ μέγας καὶ ἵερὸς τῶν Κυπρίων ἐπίσκοπος, ἀγνωστικῶς ἐνίσταται διαβεβαιούμενος, ὅτι πρὸ ὄκτὼ εἰδῶν Ἰανουαρίου γέγονεν ἡ ἀληθινὴ γένεσις τοῦ Κυρίου ἡμῶν Ἰησοῦ Χριστοῦ ἐκ τῆς

άγιας Θεοτόκου και δειπαρθένου Μαρίας. Οι δὲ λοιποί πάντες θεόπειροι διδάσκαλοι τῆς ἁγίας και καθολικῆς και ἀποστολικῆς Ἡγκλησίας, ὡς ἐξ ἑνὸς στόματος, ὠρίσαντο εἶναι τὴν γενέθλιον ἡμέραν τοῦ Χριστοῦ τῇ πρὸ ὀκτὼ Καλανδών Ἱανουαρίων.

Ἄλλα πάντων μὲν τὰς χρήσεις ἐπὶ τοῦ παρόντος παραγαγεῖν καιρού, παρέλκοντας ἡγοῦμαι. Οὐδὲ γάρ τανην περὶ τούτου ἡμῖν ὁ λόγος. Ἐνα δὲ ἐπίσημον διδάσκαλον παραγαγών, ὃν και αὐτὸς ὁ θεῖος Ἡπιφάνιος παρήγαγεν, ὡς συνηγοροῦντα τοῖς λόγοις αὐτοῦ, καταλείψω τοῖς ἐντυγχάνουσιν αἱρεῖσθαι τὸ ἄμεινον. Ἡφαίμ τοῖνυν δὲ Σύρος, οὐχ διτυχῶν και αὐτὸς τῆς εὐσεβίας διδάσκαλος, ἐν τῷ εἰς τὴν γίνεται τοῦ φωτὸς λόγῳ ὥδε φησιν „Ἐν τῷ Σανθικῷ δὲ τῷ φαιδρῷ σύλληψις τοῦ φαιδροῦ καρποῦ και φωτός· τότε δὴ δραμδὸν ὅξεως το σκότος οὐκ ἰσχυσεν ἀμαυρῶσαι τὴν φωτεινὴν σύλληψιν“. Καὶ μεθ' ἑτερα „Ἐν τῷ σπηλαίῳ γέγονεν ἡ γένεσις τοῦ φωτὸς, τοῦ τὸ ἡμέτερον σκότος διασκεδάσαντος. Καὶ τῷ μηνὶ ἐν ᾧ λείπεται τὸ σκότος ἀνέτειλεν ἡμῖν φῶς νοητὸν και κινητικόν. Ο τῆς συλλήψεως αὐτοῦ μὴν ἡρμήνευσεν ὑμῖν τὸν τύπον, ὃν Μεωπῆς διὰ γραμμάτων ἐμήνυσε· και δ μὴν τῆς γενέσεως αὐτοῦ διμοίως ἔθηλασεν ἡμῖν τὸ μυστήριον“.

col. 4029—4032

Ἐς ἀρχοῦντος ζαρτούλ ταρχμαნ්σι სულ ሻ. ሻ. ሻ. (იბ. გვ. 42—43), მაგრამ ტექსტი ბუნებრივად გრძელდება და ሻ. ሻ. ሻ. იგრძნობა სიუჟეტის დარღვევა. მეორე შემთხვევაში, ბერძნულთან შეპირისპირებით, გამომელავნდა ნაკლული ოდგილი, რომელიც ζარτοული რედაქციისათვის უდავოდ საჭირო იყო და შემონახულიცაა სხვა ხელნაწერებში. ამდენად, აშკარა გახდა, რომ Sin. 93 ხელნაწერს აკლდა ერთი ფურცელი 89г-სა და 90г-ს შორის.

4. ሻ. ሻ. საწინააღმდეგო მოვლენაც. ζαრτοულ ტექსტში ვხვდებით მთელ ნაწყვეტს, რომელიც ბერძნულში ሻ. დაიძებნა.

მაგ.: „მეფესა ღმრთის-მოყუარესა და ღმრთის-მსახურსა, კოსტანტინეს უძლეველსა, მე, კვრილე ეპისკოპოსი იერუსალემისამ, გივითხავ უფლისა მიერ: გიხაროდენ, პირველად ამას იერუსალემით, შენ, ღმრთის-მოყუარესა მეფესა, მივიძლუანებ წიგნთა ნაკოფსა, რომელი ჯერ-არს ჩუენდა მოქსენებად და თქუენდა შეწყნარებად არა სიტყვთა ლიქნისამთა სავსე, არამედ ზეცით უწყებითა და გამოჩინებითა ღმრთისამიერითა. არა თუ სიტყუად მეცნიერთაგან დაწერილი, არამედ წინააღმდეგ თქუმული წმიდათა სახარებათაგან საქმეთაგან სრულთა და წამებითა კეშმარიტისამთა, სხუათა რომელთამე-

აქუს შენგან პატივი და მრავალგზის გვრგვნთა იქმან და შეამქობენ ანთრაკითა ბრწყინვალითა მრავალფერად და შენ მიგიპყრობენ. ხოლო ჩუენ არა ქუეყანისა გვრგვნთა მიგიძლუანებთ, რამეთუ ქუეყანისა ნიჭისა აღსასრული აქუს, ხოლო ზეცისა ნიჭისა წარუვალი აქუს შეწევნად, შენისა მაგის ღმრთის-მსახურებისა მეფობისა უამთა, რომელი იერუსალემს გამოუჩნდა.

ჩუენ შენისა მაგას ღმრთის-მსახურებისა ვაუშებთ, არა თუ აწ რამე შემოხუედ ღმრთის-მსახურებად უმეცრებისაგან, რამეთუ შემძლებელ ხარ სხუათა სწავლად, რომელსა ჰმსახურებ. არამედ ესე იცოდე, აწ, რათა უმეტეს დაემტკიცოს მეფობად შენი და მამული დაიმკვდრო ღმრთისა მიერ შონიკებული შენდა ზეცით და ღმერთსა, ყოველთა მეუფესა, აწცა სათნოდ მიეც მაღლი და უფროოსლა მტერთავს განძლიერდი, რამეთუ შენისა მეფობისაა საქმე არს სიყუარული ღმრთისად“ გვ. 75—76. Col. 4069.

5. რაც შეეხება ალექსანდრე კვიპრელი მონაზენის საკითხავის ბოლო ნაწილს — ჯვრის შესხმას — უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებით წინა ნაწილებისაგან, იგი ბერძნული ორიგინალის ზუსტი, სიტყვა-სიტყვითი თარგმანია.

6. ქართულ ტექსტში ასევე დასტურდება მთელი რიგი პირთა და გეოგრაფიული სახელებისა, რომელთა დასახელებული ფორმით ხმარება მხოლოდ ბერძნული ორიგინალის გავლენაზე მიგვითითებს. მაგ.:

იოსტოს (გვ. 54)	'Ιοστός	(col. 4045)
ეპსებიოს (გვ. 66)	Επισέβιος	(col. 4060)
ლალერიოს (გვ. 58)	Γαλέριος	(col. 4049)
ერმონ (გვ. 57)	"Ἐρμων	(col. 4049)
გისიანოს (გვ. 55)	Κασσιανός	(col. 4048)
ანტონინოს (გვ. 55)	'Αντωνίνος	(col. 4048)
იოსეფ (გვ. 54)	'Ιωσήφ	(col. 4045)
ბლავდიოს (გვ. 49)	Κλαύδιος	(col. 4040)
ტიტოს (გვ. 51)	Τίτος	(col. 4041)
არქელაოს (გვ. 44)	Ἀρχέλαος	(col. 4038)
ერკულონ (გვ. 57)	Ἐρκούλιος	(col. 4049)
იგბოს (გვ. 49)	"Αγαθος	(col. 4040)
ტარსუნი (გვ. 58)	Ταρσός	(col. 4049)

როგორც ვხედავთ, მოტანილი მაგალითების საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ ქართული თარგმანის წყარო ბერძნული ორიგინალია, ხოლო ის განსხვავებანი, რომლებიც ამ ტექსტების შეჯერებისას აღმოჩნდა, გვაფიქრებინებს, რომ ქართულ თარგმანს საფუძლად დასდევბია განსხვავებული რედაქციის ტექსტი²⁰.

ალექსანდრე პოპრელი მონაზვნის თხზულება და მისი წყაროები

ალექსანდრე კვიპრელი მონაზვნის საკითხავი ოთხი ნაწილისა-გან შედგება. ესენია: 1. პროლოგი, 2. შესხმა, 3. ქრონიკა და 4. მეორე შესხმა.

პროლოგში ავტორი აღნიშნავს, რომ მან ეს თხზულება დაწერა წმიდა მამათა თხოვნით, თუმცა შესანიშნავად გრძნობს ამგვარი თხზულების შექმნასთან დაკავშირებულ სიძნელეებს: „ამის ბრძანებისა სიტყუად ლდეს მოვილე, უზეშთაეს შეძლებისა ჩემისა იპოვა და დაწყებასა მისა შევძრუნდი...“ (გვ. 34).

პროლოგს მოსდევს შესხმის ფორმით დაწერილი მეორე ნაწილი თხზულებისა, რომელშიაც ვხვდებით კირილე იერუსალიმელის XV სიტყვით შთაგონებულ აღგილებს, ასევე იყენებს ავტორი VII და XVIII სიტყვებს²¹.

თხზულების მესამე ნაწილი წარმოადგენს ქრონიკას. თხრობა იწყება ქრისტეს შობის ამბებით და მთავრდება კონსტანტინე და დის მეფობით, წმიდა ჭვრის გამოჩინებითა და სამშეუალთა პონის ეპიზოდით.

თხზულების ამ ნაწილში ქრონოლოგიურად დასახელებული არიან „ბერძნთა“ მეფეები (როგორც ავტორი იხსენიებს) და იერუსალიმის ეპისკოპოსნი. დასასრულს, ავტორი განაცხადებს, რომ

²⁰ ამ ბოლო ხანებში ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ გროტატურას ერთ-ერთი ხელნაწერი შეიცავს ალექსანდრე კეპრელის საკითხავის განსხვავებულ ჩელაქციას. (ხ. M. van Esvroek. Les plus anciens homéliaires géorgiens... გვ. 271-272). შესძლებელია. სწორედ ეს რედაქცია იყო ქართული თარგმანის დედანი.

²¹ იგულისხმება IV საკურნის ცნობილი სასულიერო ავტორის კირილე იერუსალიმელის სიტყვები „განცხადებისათვის“, ხ. P. Gr., t. 33.

სულ: „აგვისტოს კეისრისამთვან, რომლისა ზე იშვა უფალი ჩუენი ჯორცითა, ვიდრე კოსტანტინე მორწმუნისამდე ოცდაათხუთმეტნი მეფები იცვალნეს ბერძენთა ზედა და ეგრეთვე იაკობ მოციქულისა, ძმისა უფლისა და პირველისა ეპისკოპოსისამთვან, ოცდაათხუთმეტნი ეპისკოპოსნი იცვალნეს იერუსალემსა ზედა, ვიდრე კურილე ეპისკოპოსისამდე და პატიოსნისა ჭუარისა ზეცით გამოჩინებამდე“ (გვ. 78).

ქრონიკის დასაწყისში ავტორი აგვისტერს ქრისტეს შობასა და ვნებას, ხოტბას შეასხამს უფალს და ბოლოს, ნიკეის სიმბოლოს მტკიცედ დამცველი მწერალი ამბობს: „თთუესა მარტია ოცდაათსა ივნო უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან ნეფსით თვსით. და იგი იყო უფალი ჰესარიტი და კაცი ჰესარიტი და ორითა ბუნებითა; არა შეიწყნარა განყოფილებად და შერეულებად. ჭუარისა ზედა იყო და საფლავსა შინა განუშორებელად დაადგრა: განგებად ორთა ბუნებათად, რომლითა იცნობების ერთი მხოლოდ უფალი ჩუენი იესუ ქრისტე, ძვე ღმრთისა ცხოველისად და სიტყუად მისი მხოლოდ“ (გვ. 45—46).

დიდი სინანულითა და გულისტყივილით გადმოგვცემს ავტორი ქრისტიანთა ყოველ დევნულობას კონსტანტინე დიდამდე. ქრონიკის დასასრულს კი, კონსტანტინე იმპერატორის მეფობასთან დაკავშირებით, იგი მოიხსენიებს ჭვრის სასწაულსა და წარმართთა მოქცევის ფაქტებს, აღწერს კონსტანტინეს გამარჯვებას მაქსენიუსშე და მოგვითხრობს იმ დიდ მშეგიდობასა და სიყვარულზე, რომელიც კონსტანტინეს მოქცევის შემდეგ დამყარდა ბიზანტიაში.

ქრონიკაში ავტორი განიხილავს ორ საეკლესიო ქრებას: ნიკეის მსოფლიო კრებასა და ტვიროსის კრებას.

ნიკეის მსოფლიო კრებაზე საუბრისას იგი მოკლედ უხება არით ზსა და მის მიმდევართ: „იყო ვინმე კაცი ალექსანდრიელი, სახელით არიოს. და ესე აღბორგნა ეშმაქისაგან და ზენა და ქუენა აშფოთებდა ყოველთა მკვდრთა ქუეყანისათა. და შეეზრახნეს მას მცირედნიცა ეპისკოპოსნი, პირველად ევსებიოს ნიკომიდიილი და ევსებიოს პამფილიელი და სხუანი მათ თანა“ (გვ. 66).

შემდეგ მწერალი მოგვითხრობს, რომ მართალია, კონსტანტინე იმპერატორი ბევრს ეცადა, მაგრამ, რადგანაც ვერაფრით ვერ „და-აცხრო ესევითარი ესე განყოფილებად და განწვალებად შჯულისად... უბრძანა, რათა შექრიბონ კრებად ყოვლით ქუეყანით ქალაქსა შინა ნიკიისასა“ (გვ. 66).

ავტორი აღნიშნავს, რომ ეს კრება შეიკრიბა კონსტანტინეს მეფობის მე-19 წელს (აქ მცირე უზუსტობაა, უნდა იყოს მე-20 წ.). კრებას ესწრებოდა 318 ეპისკოპოსი. როგორც ცნობილია, ამ კრებაზე დამსწრე ეპისკოპოსთა რიცხვი დაზუსტებული არ არის: ევსებიოს კესარიელი ასახელებს 250 ეპისკოპოსს²², ევსტათე ანტიოქელი დაახლოებით 270-ს, ათანასე დიდი 300-ს, ბასილი დიდი 318-ს, მაგრამ ყველაზე მეტად გავრცელებული იყო 318, რომელსაც ამავე დროს მისტიურ მნიშვნელობასაც ანიჭებდნენ²³.

ალექსანდრე კვიპრელი მონაზონი, აგვიწერს რა კრების მსვლელობას, დასასრულ განაცხადებს: „...და მიზეზისა, რომლისათვს შეკრებულ იყუნეს, დაწერეს სარწმუნოებად მართლაოსაარებისად უოველთა მათ, ვითარცა ერთითა პირითა და დაამტკიცეს და დადგეს ესე სარწმუნოებად, რომელი დღესამომდე და უოვლადვე ითქმის დაუცადებელად ეკლესიასა შინა მართლმადიდებელთასა — რომელ არს მრწამსი. ხოლო არიოს და მოყუასნი მისნი, ევსებიოს ნიკომიდელი და სხუანი მათთანანი, დაშთეს შეკომილებასავე ზედა მათსა. მაშინ განკუეთნეს იგინი წმიდამან კრებამან და განვადნეს იგინი აღგილით მათთ. და სხუანი ნაცვალად მათსა აკურთხნეს და დასხნეს აღგილთა მათთა“ (გვ. 66—67).

ათანასე ალექსანდრიელის მოღვაწეობასთან დაკავშირებით ავტორი მოვალეობის სევერ ტვირთვის კრების შესახებაც (355 წ.): აღწერს ათანასე ალექსანდრიელისა და მის მოწინააღმდეგეთა ბრძოლას, ათანასეს დამარცხებასა და მის გაპარვას ქალაქ ტვირთვისიდან, მის ჩისვლას იერუსალიმში და წმიდა ეკლესიათა კურთხვეს. აქ ეს ფაქტები ძალზედ მოკლედ არის გადმოცემული.

აი, მოკლედ, რის თქმაც გვინდოდა ქრონიკის სიუკეტის შესახებ. ავტორი ცდილობს დაადგინოს, დააზუსტოს მთელი რიგი ისტორიული ფაქტებისა. ზოგიერთ შემთხვევაში კი, როდესაც მას ეჭვი ეპარება რომელმე მოვლენის სიზუსტეში, გულახდილად აცხადებს: „შემინდვეთ, წმიდანო მამანო, არა უწყი“... (გვ. 54).

ქრონიკის ტექსტის წყაროს დაძებნის მიზნით, ქართული თარგმანი ჩვენ შევუდარეთ როგორც იოსებ ფლავიუსის „სიძველება“ და „იუდეველთა ომებს“, ასევე ევსევი კესარიელის „საეკლესიო ისტორიასა“ და „კონსტანტინეს ცხოვრების“ ტექსტებს, რის შედეგადაც ნათელი გახდა, რომ ალექსანდრე კვიპრელი, ძირითადად, ამ ავტორთა თხზულებებით სარგებლობდა, თუმცა გამორიცხული არ

²² Евсевий Памфил. Сочинения. т. II. СПб. 1849. гг. 174.

²³ В. В. Болотов. Лекции по истории древней церкви. т. 4. Петроград. 1918. гг. 24.

არის არც სხვა უძველეს ავტორთა საისტორიო ნაწარმოებთა გამოყენების ფაქტებიც (იხ. კომენტარები).

საყითხავის მესამე ნაშილი ჯვრის გამოჩინების აღწერას „შეიძლება ეს ნაწილი, როგორც ე. ბიპაინი შენიშნავს, დაწერილია კირილე იერუსელიმელის „ეპისტოლეს“ მიბაძვით²⁴. ჩვენი დაკვირვებით კი, ეს ტექსტი კირილე იერუსალიმელის „ეპისტოლეს“ მხოლოდ მიბაძვას კი არ წარმოადგენს, არამედ აյ სრულიად გადაუმუშავებელი სახით ჩართულია ნაწყვეტი ამ „ეპისტოლედან“. ბერძნულ დედამში ეს ნაწილი ცალკე არ არის გამოყოფილი, გამოყოფილი არ არის იგი არც უძველეს ქართულ ხელნაწერებში (Sin. 93, Ox. № 1), Q—762-ში კი მას ახალი სათაური აქვს: „მაისსა შვედსა გამოჩინებად პატიოსნისა ჭუარისად“²⁵. თხშულების ეს ნაწილი მოგვითხრობს იერუსალიმში ჯვრის გამოჩინების ამბავს: „მაშინ მყისსა შინა გამოჩნდა ზედა წმიდასა გოლგოთასა ზეცით შეუ სამხრის თდენ ჭუარი ფრიად დიდებული, ნათლითა ბრწყინვალითა შემყული, რომელმან დაფარა ბრწყინვალებად მზის-თუალისად თვსითა ბრწყინვალებითა. ესე იყო ცხადად წინაშე თუალთა ყოველთა მკვდრთა ქალაქისათა, დიდთა და მცირეთა, მოჩქმუნეთა და ურწმუნოთა.

და იყო მთა უამთა ეპისკოპოსად იერუსალემსა ზედა კვრილე ბრძნი, რომელსა მოელო მთავრობად მაქსიმე მოწამისაგან...“²⁶. შემდეგ ამას მოსდევს საქმაოდ ვრცელი ნაწყვეტი „ეპისტოლედან“, სადაც ლაპარაკია იერუსალიმში მომხდარი ჯვრის სასწაულისა და ჰურიათა მოქცევის შესახებ.

ჯვრის გამოჩინების სასწაულის შესახებ საუბრისას ალექსანდრე კვიპრელი მონაზონი ასევე იყენებს ძველი სირიული ლეგენდების ტექსტსაც, რომელშიაც აღწერილია იერუსალიმში მომხდარი ჯვრის გამოჩინების სასწაული.

იერუსალიმში ჯვრის გამოჩინებისა და ჯვრის პოვნისადმი მიძღვნილი ლეგენდები საქმაოდ პოპულარულია მთელ მსოფლიოში. ამის ნათელი დადასტურებაა ამ ლეგენდების შემცველ საკითხევთა მრავალი ვერსიის არსებობა სირიულ, ბერძნულ, ლათინურ, არაბულ, კოპტურ, სომხურ და ქართულ ენებზე.

ქართულ ენაზე არსებული ტექსტები ამ ლეგენდებისა კირილე

²⁴ E. Bihain, Saint Cyrille de Jérusalem, Le Muséon, LXXVI, 3-4, 1963, გვ. 321.

²⁵ Q—762, გვ. 126v.

²⁶ იხ. ტექსტი გვ. 75.

2. ალექსანდრე კვიპრელის ქრონიკა

იერუსალიმელის სახელითაა შემონახული უძველეს — IX—XI საუკუნეების კრებულებში — მრავალთავებში. ამ საკითხავთა წყაროს დაძებნის მიზნით, ჩვენ ქართული რედაქცია მთლიანად შევუდარეთ ლეგენდების ყველა არსებულ ვერსიას, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა დაგვეღვინა, რომ მრავალთავებში შემონახული ჯვრის გამოჩინებისა და პოვნის ტექსტები კირილე იერუსალიმელს არ მიეკუთვნება, მათი წყარო სირიული ლეგენდა, ამ ლეგენდის წყარო კი პროტონიკე ლეგენდა, რომელიც თავდაპირველი სახით Doc-trina Addaei-შია შემონახული²⁷.

ალექსანდრე კვიპრელი თავისი თხზულების იმ ნაწილში, რომელშიც აღწერილია კონსტანტინე იმპერატორის მოქცევის ამბები ჯვრის სასწაულით, უხვად იყენებს ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებული სირიული ლეგენდების ტექსტს.

მაშიასადამე, ალექსანდრე კვიპრელი მონაზვნის საკითხავის წყაროებია: იოსებ ფლავიუსის „სიძველენი“, „იუდეველთა ომები“, ევსევი კესარიელის „საეკლესიო ისტორია“, „კონსტანტინეს ცხოვრება“, კირილე იერუსალიმელის სიტყვები „განცხადებისათვის“, კირილე იერუსალიმელის „ეპისტოლე“ კონსტანტი იმპერატორისადმი და ჯვრის გამოჩინების ძველი სირიული ლეგენდები.

ალექსანდრე კვიპრელი მონაზვნის ნაწარმომამი, როგორც სხვა ისტორიულ თხზულებათა წყარო

ალექსანდრე კვიპრელი მონაზვნის ჯვრის გამოჩინების საკითხავი გიორგი მონაზვნის „ხრონიკაფის“ ერთ-ერთი წყარო. ჯვრის გამოჩინების სასწაულის ეპიზოდი, კონსტანტინე იმპერატორის დროს მომხდარი, ჰურიათა მოქცევის ფაქტი და კირილე იერუსალიმელის „ეპისტოლეზე“ მითითება თითქმის უცვლელად არის ჩართული გიორგი მონაზვნის „ხრონიკაფის“ ბერძნულ ტექსტში²⁸.

ბერძნული ტექსტების²⁹ შეჯერებით გამომულავნდა მთელი რი-

²⁷ ვრცელ იბ. თ. მ გ ა ლ ი ბ ლ ი შ ვ ი ლ ი. კირილე იერუსალიმელის სახელით ცონდილი რამდენმე საკითხავის წყაროს დაგვერისათვის, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1970, № 3, გვ. 59—74.

²⁸ ეს ფაქტი ჩერ კიდევ 1967 წელს შენიშნა ე. ბიჭანიშვილისათვის სტატიაში: Saint Cyrille.... გვ. 321; ის წერდა, რომ ჯვრის გამოჩინების ალექსანდრე კვიპრელისეული ეპიზოდი ჩართულია გიორგი მონაზვნის „ხრონიკაფის“ ზოგიერთ ხელნაწერში. ამ შემთხვევაში მას მხედველობაში ჰქონდა მიურალტის გამოცემა, რომელიც განშეორებულია მინის პატრიოლოგის 110-ე ტომში—P. Gr., t. 110, col. 661—664.

²⁹ იბ. P. Gr., t. 87, col. 4069; P. Gr., t. 110, col. 661—664.

გი ადგილებისა, რომლითაც გიორგი მონაზვნის ქრონიკის ტექსტი
განსხვავდება ალექსანდრე კვიპრელი მონაზვნის საკითხავის ბერძ-
ნული რედაქციისაგან. მაგრამ ამ სხვაობებს თითქმის ყველგან დაე-
ძებნა პარალელები ალექსანდრე კვიპრელის ქრონიკის ქართულ
თარგმანში. საილუსტრაციოდ მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიყვანთ:
ალექსანდრე კვიპრელი: ... ὡς ἄπαν ἐξ αὐτῆς τῆς ἀγίας Ἐκκλησίας
სυνδραμεῖν τὸ πλήθος; τῷ τῆς θεοπτίας φόβῳ συσχεθὲν ἐξ οὐρανοῦ
მცდელობა (col. 4069).

გიორგი მონაზონი:

... ὡς ἄπαντας μὲν ἐξαυτῆς εἰς τὴν ἀγίαν ἐκκλησίαν συνδραμεῖν τὴν
πόλιν τῷ τῆς θεοπτίας. φόβῳ, νέων τε ἄμα καὶ πρεσβυτέρων, ἀνδρῶν
καὶ γυναικῶν ἐκ πάσης ἡλικίας καὶ μέχρις αὐτῶν ἡδη τῶν θαλαμευο-
μένων νεανίδων, ἐντοπίων τε καὶ ξένων, Χριστιανῶν τε καὶ Ἑλλήνων
καὶ ἀλλαχόθεν ἐπιδημούντων ἔθνικῶν, δροθυμαδόν τε πάντων ὡς ἐξ
ἐνὸς στόματος Ἰησοῦν Χριστὸν τὸν Κύριον ἀνυμνούτων, τὸν τοῦ
Θεοῦ τὸν μονογενῆ, τὸν θαυματοποιόν, ἕργῳ τε καὶ πείρᾳ παραλαβόν-
τες, διτὶ τὸ Χριστιανῶν δόγμα „οὐκ ἐν πειθοῖς σοφίας ἐστὶ λόγοις, ἀλλ’
ἐν ἀποδείξει Πνεύματος καὶ δυνάμεως“, οὐχ δηπ’ ἀνθρώπων μόνον κατα-
γγελλόμενον, ἀλλ’ ἐξ οὐρανοῦ μετεντρυόμενον (col. 664).

ალექსანდრე კვიპრელის საკითხავის ქართული თარგმანი:
„...ყოველნი მისგან შეძრწუნებულნი ეკლესიად მირბიოდეს სიმრავ-
ლე ქალაქისათ. მაშინ ჩუენებამან საშინელმან შიშითა და სიხა-
რულითა შეიპყრნა ყოველნი ერთბამად ჰაბუკი და მოხუცებულნი,
დედანი და მამანი და ყოველი პასაკი, რამეთუ სახლებითცა მათით
ხედვიდეს გუგამთა თუალითა მათთამთა. მქვდრნი და უცხონი ქრის-
ტეანენი და სხვთ მოსრულნი წარმართნი ერთბამად ყოველნი ერ-
თითა პირითა ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა საკვრველთ-მოქმედსა
აქებდეს საქმით და განცდით შეწყნარებულსა. რამეთუ ქრისტეანე-
თა სარწმუნოებად ღმრთის-მსახურებად არს, არა თუ სმენითა სიბრ-
ძნისათა, არამედ ძალითა და მოცემითა სულისა წმიდისათა. და
არა კაცთაგან თხრობილი, არამედ ზეცით ღმრთისა მიერ წამებული
და ღამკვდრებული“ (გვ. 77).

ეს გარემოება განამტკიცებს ჩვენს მიერ ზემოთ გამოთქმულ
მოსაზრებას, რომ ქართული თარგმანი ძველია და ჩვენს მიერ გამო-

ყენებული ბერძნული ტექსტი, რომელიც უფრო გვიანდელი ჩანს,
რედაქციულად სხვაობს მისგან.

რაც შეეხება გიორგი მონაზონის „ხრონიკაფის“ ქართულ
თარგმანს, აქ მხოლოდ მოკლე მითითებაა ჯვრის გამოჩინების სას-
წაულზე, რადგანაც ქართული ვერსიის წყაროდ ითვლება ბერძნუ-
ლი ტექსტის მოკლე რედაქცია, რომელშიაც აღექსანდრე კვიპრელი
მონაზონის საყითხავის ნაწყვეტი ჩართული არ არის³⁰. „ხრონიკა-
ფის“ ქართულ თარგმანში ეს ადგილი ასეა გადმოცემული: „და სას-
წაული ჯუარისაა გამოჩნდა ცათა შინა წმიდით ადგილით თხემისამთ
ვიდრე მთადმდე ზეთის ხილთანასა განვრცობილი, რომლისა ძალით
იპოების აწცა მეფისა კოსტანტის მიმართ კურილე იერუსალიმელი-
სა მიერ მოწერილი ეპისტოლე“³¹.

აღექსანდრე კვიპრელი მონაზონის საყითხავის დიდ გავლენას
განიცდის ასევე თეოფანე მქადაგებლის ქრონიკაც. მიუხედავად სტი-
ლისტური განსხვავებისა, ორივე ავტორის თხზულებებში ჯვრის გა-
მოჩინების სასწაულის ეპიზოდის აღწერაში მრავალი საერთო მო-
მენტია. ორივეგან ამ სასწაულის აღწერა დაკავშირებულია. კონს-
ტანტინეს სახელთან, ორივე მოიხსენიებს კირილე იერუსალიმელს,
მის „ეპისტოლეს“ და სიტყვებს „განცხადებისათვის“, ჯვრის სასწაუ-
ლით მოქცეულთა მშარდ რიცხვზე მიგვითითებს ორივე ავტორი.

უოველივე ამის გამო ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ვიორგი მონაზ-
ვნისა და თეოფანე მქადაგებლის ქრონიკების ერთ-ერთი წყარო უნ-
და ყოფილიყო აღექსანდრე კვიპრელი მონაზონის საყითხავი.

იგივე ნაწარმოები ე. ბიჭაინის აზრით, წყაროა ასევე კირილე
იერუსალიმელის ცხოვრების სომხური ტექსტისა³². კირილე იერუ-
სალიმელის ცხოვრების სომხური ვერსიის: — **Պատմոթիւն սրբոն**
Կիւրդի Երտապեմի Հայրապետին — ნაწილი ვენის მხითარისტთა
ბიბლიოთეკის № 224 ხელნაწერის მიხედვით გამოაქვეყნა ე. ბიჭაინია.
ეს ხელნაწერი გადაწერილია 1428 წ. კარაბერ კოლუსის მიერ.

ცხოვრების სომხური ტექსტი შედგება ხუთი ერთომეორისაგან
დამოუკიდებელი ნაწილისაგან. ჩვენთვის საინტერესოა ამ ცხოვრე-
ბის III ნაწილი, რომელიც მოგვითხრობს იერუსალიმში ჯვრის გა-

³⁰ Georgii Monachi Chronicon. edidit Carolus Boor. v. I. II. Lipsiae, 1904.

³¹ ს. ყაუხჩიშვილი. ხრონიკაფი ვიორგი მონაზონისაა. 1920, გვ. 281.

³² E. Bihain. Saint Cyrille... გვ. 341—348.

მონიკების ამბებს. სწორედ ამ ნაწილშია მოთავსებული კირილუ იერუსალიმელის „ეპისტოლე“ კონსტანცი იმპერატორისადმი, რომელიც ასევე იერუსალიმში ჯვრის გამოჩინებას ეძღვნება, და ამ ლეგენდის უცნობი ტექსტი. სამწუხაოოდ, ე. ბიჭაინი არ აქვეყნებს მოლიანად ამ ტექსტს, მაგრამ მის წყაროდ იგი თვლის კირილუ იერუსალიმელის „ეპისტოლეს“ კონსტანცი იმპერატორისადმი, ალექსანდრე კვიპრელი მონაზვნისა და თეოფანე მქადაგებლის ქრისიკებს და დღეისათვის დაკარგულ უცნობ ძეგლს, რომელშიაც აღწერილი იქნებოდა იერუსალიმში მომხდარი ჯვრის გამოჩინება³³.

ალექსანდრე კვიპრელი მონაზვნის ჯვრის გამოჩინების საკითხა-
ვის „მოქცევა ქართლისათ“-ს ტექსტთან შეპირისპირებით გაირკვა,
რომ ქართველი მემატიანესთვისაც უცნობი არ უნდა ყოფილიყო
ალექსანდრე კვიპრელი მონაზვნის ზემოთ დასახელებული თხზუ-
ლება.

„მოქცევად ქართლისად“ -ს წყაროთა განხილვისს კ. ტეკელიძე აღნიშნავს, რომ ერთ-ერთი ამ წყაროთაგან უნდა იყოს: «Сказание о Воздвижении Честного и Животворящего Креста Господня»³⁴, მეორე კი კირილე იერუსალიმელის „ეპისტოლე“ კონსტანტი იმპერატორისადმი. თავისი მოსახრების დასასაბუთებლად იგი საეჭაოდ ვრცლად მიმოიხილავს ამ ობიექტებსა და მათ ურთიერთმიმართებას. მის შეხედულებას იზიარებს ივ. ჯავახიშვილიც³⁵.

³³ E. Bihain, saint Cyrille... გვ. 341—348. ჩემი აზრით, ეს უცნობი ტექსტი უძრავი იყოს ჩემის ჩიურ შესწოვლის ი ჯერ გამოჩინების სირთული ტექსტი (იხ. თ. გ ა ლ ი ბ ლ ი შ ვ ა ლ ი, კარის დიაკონის მიერ ის სახელით ცნობილი ი...., გვ. 59—74).

³⁴ К. Кекелидзе. Иерусалимский канонарь VII века. Тифлис, 1912, 239—245. д. ვაკელიძე გიორგი დაბატუთაშვილი ვაკელიძე გიორგი დაბატუთაშვილი: Жития святых на русском языке, изложенные по руководству Чельных—Миней, св. Дмитрия Ростовского. Сентябрь. Москва, 1912, 288—296.

³⁵ ପ୍ର. କୁମାର ଶ୍ରୀଲୋକ, ପ୍ରେସ ପ୍ରକଟ୍ରେଟ ଓ ସନ୍ତୁଷ୍ଟିରେ ମୃଗଳୀଳା, ପରିମଳୀଳା ମହାନାନ୍ଦ, ଚୁଣ୍ଡିନ୍ଦ୍ରଜୀବି ଏବଂ ମୁଖ୍ୟମନ୍ଦ୍ରଜୀବି ପ୍ରିନ୍ସିପ ଏବଂ ଅନ୍ଧା, ପ୍ରିନ୍ସିପ I, ପଦ., 1945, ପୃ. 104—105.

ზე შექმნილი საკითხავები შემონახულია სირიულ, ბერძნულ, ლა-თინურ, ორაბულ, კოპტურ და ქართულ ენებზე. ამათვან ზოგიერთი გერსა ავტორად ასახელებს კირილე იერუსალიმელს (ქართული, კო-პტური, ორაბული), ზოგი კი უავტოროა. ყველა ეს თხზულება, რო-მელიც ელენესა და კონსტანტინეს ლეგენდებს გულისხმობს, მომდი-ნარეობს პროტონიკე ლეგენდიდან (ჯვრის პირველი გამოჩინების ლე-გენდა) რომელიც თავდაპირეველი სახით Doctrina Addaei-შია შე-მონახული²⁶.

მაშასადამე, კ. კეკელიძის მიერ დასახელებული თხზულების წყაროც ზემოთ ხსენებული სირიული ლეგენდა უნდა იყოს, რომ-ლის ძველი ქართული თარგმანი, კირილე იერუსალიმელის სახელით ცნობილი, უძველეს (IX—XI სს.) მრავალთავებშია შემონახული. კირილე იერუსალიმელის სახელით ცნობილი ეს ნაწარმოები კი ალექსანდრე კვიპრელი მონაზვნის საკითხავის ერთ-ერთი წყაროა.

ამის გამო, ჩვენი აზრით, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ხელახლა გადავხედოთ კ. კეკელიძის მიერ დასახელებულ „მოქცე-ვად ქართლისაა“-ს წყაროებს და იქვე გავითვალისწინოთ ალექსან-დრე კვიპრელი მონაზვნის ჯვრის გამოჩინების საკითხავიც. საქმე იმშია, რომ მართალია, „მოქცევად ქართლისაა“-ს ავტორი ნინოს ცხოვრებასა და მირიანის გაქრისტიანების ამბებთან დაკავშირებით იყენებს როგორც კირილე იერუსალიმელის „ეპისტოლეს“, ასევე ჯვრის გამოჩინების სირიულ ლეგენდასაც, მაგრამ ამ ნაწარმოებები-დან გამოყენებული აღგილები ასევე ემთხვევა კონსტანტინეს გაქ-რისტიანებასთან დაკავშირებით თვით ალექსანდრე კვიპრელი მო-ნაზვნის თხზულებაში მოხსენიებულ ეპიზოდებსაც. განვიხილოთ კ. კეკელიძის მიერ მოტანილი ფაქტები და იქვე გავითვალისწინოთ ალექსანდრე კვიპრელი მონაზვნის თხზულების შონაცემებიც:

I. ალექსანდრე კვიპრელი მონაზვნიცა და ქართველი მემატია-ნეც ორივე იყენებს ძველ სირიულ ლეგენდას (კ. კეკელიძე მიუთი-თებს ამ სირიული ლეგენდის ზემოთ დასახელებული ერთ-ერთი ვერსიის რუსულ თარგმანს).

1. კონსტანტინე მეფეს მაქსენტიოსთან ბრძოლის წინ გამოუჩ-ნდა ჯვარი.

²⁶ თ. მ გ ა ლ თ ბ ლ ი შ ვ ი ლ ი . კირილე იერუსალიმელის სახელით ცნობილი.... გვ. 74.


„მოქცევად ქართლისად“³⁷: „ნათელი ბრწყინვალებისა დიდისად
იხილა მსგავსად ჭუარისა“. აქ ლაპარაკია მირიან მეფეზე (გვ. 153).

იგივე ფაქტი აღწერილია ალექსანდრე კვიპრელი მონაზვნის
თხზულებაშიც: „მაშინ გამოუჩნდა მას ველსა ზედა შორის გუნდსა
თვისა შუვა სამხრის სუეტი ნათლისად ჭუარის სახედ შექმნული“...
(გვ. 61).

2. ჭვრის გამოჩინების სასწაულმა გამარჯვება მოუტანა კონს-
ტანტინეს.

„მოქცევად ქართლისად“: (წმ. ნინომ) „დასწერა გელითა სახუ
ჭუარისად და მეყსეულად უჩინო იქმნა ყოველი იგი სიმრავლე
ერისად. და იქმნა დაყუდება დიდ“ (გვ. 141).

ალ. კვიპრელი: „და ვითარცა განეწყვნეს ბრძოლად, იძლინეს
წინაშე ჭუარისა ცხოველისა ყოველი წინააღმდეგომნი მათნი და მო-
ისრა უფროდასი ერისა მათისად და სხუანი შეოტ იქმნეს მეფითურთ
მათით ქალაქიად“ (გვ. 61—62).

3. ჭვრის სასწაულის უკვდავსაყოფად და მაქსენტიოსთან თავი-
სი გამარჯვების აღსანიშნავად კონსტანტინემ რომში აღმართა „სა-
ხე ჭუარისა“. მირიან მეფემაც, კონსტანტინე იმპერატორის მსგავ-
სად, თხოთის მთაზე აღმართა ჭვარი.

ალექსანდრე კვიპრელი მონაზონიც ასევე გადმოგვცემს ამ
ფაქტს კონსტანტინე იმპერატორის სახელთან დაკავშირებით (გვ. 62).

4. ჭვრის გამოჩინის სასწაულით კონსტანტინე იმპერატორმა
აღიარა ქრისტიანობა. ანალოგიური ეპიზოდია „მოქცევად ქართ-
ლისად“-ს ტექსტშიაც, სადაც მირიან მეფისა და მისი სამეფოს მოქ-
ცევის მიზეზიც ჭვრის სასწაულია. ალექსანდრე კვიპრელი მონაზვ-
ნის თხზულების მიხედვითაც, კონსტანტინეს გაქრისტიანებაც ჭვრის
სასწაულებრივი გამოჩინების გამო მოხდა (გვ. 73).

5. კონსტანტინე იმპერატორმა მაცხოვრის ძელის მოპოვების
შემდეგ განაწესა ჭვრის დღესასწაული. მირიან მეფემაც განაწესა ეს
დღესასწაული კონსტანტინე იმპერატორის მსგავსად. ჭვრის დღე-
სასწაულის შესახებ ასევე მოგვთხობს ალექსანდრე კვიპრელი მო-
ნიზონიც, რომელიც აღნიშნავს სირიული ლეგენდის ანალოგიით,

³⁷ იბ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I,
o. აბელაძის რედაქციით, თბ., 1963.

რომ კონსტანტინემ ჯვრის დღესასწაული დააწესა წმ. ელენეს იქნა-
სალიმიდან დაბრუნების შემდეგ (გვ. 69).

6. წმ. ელენეს იერუსალიმიდან დაბრუნებისას, გადმოგვცემს
ლეგენდა, კონსტანტინემ აღმართა სამი ჯვარი ბრძოლებში საკუთარ
გამარჯვებათა აღსანიშნავად. ანალოგიურად მოიქცა მირიან მეფეც,
რომელმაც ასევე სამი ჯვარი აღმართა. ამ ამბავს ასევე გადმოგვცემს
ალექსანდრე კვიპრელი მონაზონიც (გვ. 69).

7. კონსტანტინე იმპერატორმა ჯვრები აღმართა ორჯერ: ერთ-
ხელ მაქსენტიოსთან გამარჯვების შემდეგ, მეორედ კი წმ. ელენეს
იერუსალიმიდან დაბრუნებისას. ქართველი მემატიინის გადმოცემი-
თაც მირიან მეფემაც ორჯერ აღმართა ჯვრები. ალექსანდრე კვიპრე-
ლი მონაზონიც იმეორებს სირიული ლეგენდის მონაცემებს.

8. კონსტანტინე იმპერატორის მიერ აღმართულ ჯვართან მრა-
ვალი სასწაულია დაყავშირებული. მირიან მეფის დროსაც ჯვრის
აღმართებისას მრავალი სასწაული ეჩვენა ხალხს. ალექსანდრე კვიპ-
რელი მონაზონის თხზულებაშიაც მრავალი სასაწულია დაყავშირე-
ბული ჯვრის აღმართებასთან.

II. ქართველი მემატიანე და ალექსანდრე კვიპრელი მონაზონი
ერთნაირად იყენებენ კირილე იერუსალიმელის „ეპისტოლეს“
ტექსტს:

1. ჯვრის გამოჩინების სასწაული მოხდა 7 მაისს: „მოქცევად
ქართლისაა“: „თთუესა მაისსა ერთსა შეიქმნეს ჯუარნი ესე და
შვდსა მის თვალსა აღმართნეს...“ (გვ. 148).

„ეპისტოლე“: „ნათლად, მარმარილოს სახედ გამობრწყინვებუ-
ლად, იერუსალემს გამოჩნდა ჯუარი, რამეთუ წმიდათა მათ დღეთა
ერგასისთა მარტვრიამსათა თუესა მაისსა შვდსა“... ლატ. ლექც.
გვ. 469.

ალექსანდრე კვიპრელი მონაზონი: „ნათლად, მარმარილოს სა-
ხედ გამობრწყინვებულად, იერუსალემს გამოჩნდა [ჯუარი], რამეთუ
წმიდათა მათ დღეთა ერგასისთა მარტვრიამსათა, თუესა მაისსა
შვდსა“... (გვ. 77).

2. ჯვრის გამოჩინების ბრწყინვალებამ მოიცვა მთელი იერუსა-
ლიმი აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე, გოლგოთიდან ელეონის
მთამდე.

„მოქცევად ქართლისაა“: „აპა ჩამოვიდის ჯუარი ცეცხლისაა
დაგრევუნებული ვარსკულავითა და დადგრის ზედა ეკლესიასა... და

გამოვიდის მისგან ორი ვარსკულავი; ერთი იგი წარვიდის აღმოსავალით და ერთი დასაცალით, და იგი თავადი ეგრევე დგან მბრწყინვალედ“... (გვ. 148—149).

„ეპისტოლე“: „ნათლად, მარმარილომს სახედ გამობრწყინვებულად, იერუსალემს გამოჩნდა ჭუარი... დიდად შუენიერი, შემკული ცათა შინა ზედა წმიდა გოლგოთასა ვიდრე მთადმდე ზეთის-ხილთა“. (ლატ. ლექც. გვ. 469).

ალექსანდრე კვიპრელი მონაზონი: „ნათლად, მარმარილომს სახედ გამობრწყინვებულად, იერუსალემს გამოჩნდა... ჭუარი, ნათლითა შემკული ცათა შინა, ზედა წმიდა გოლგოთასა ვიდრე წმიდად მთადმდე ზეთის-ხილთა...“ (გვ. 77).

3. ჭვრის სასწაულმა დაჩრდილა მზის ბრწყინვალებაც კი:

„მოქცევად ქართლისად“: „ვითარცა ცეცხლი დგა და ვითარცა ალი ეგზებოდა ზედა თავსა ჭუარისასა სამების მზისა უბრწყინვალესი, და ვითარცა საჯუმილისა რად ნაბერწყალი აღვალნ ძლიერად, ეგრძ სახედ იყო...“ (გვ. 155).

„ეპისტოლე“: „რამეთუ ბრწყინვალებამან მისმან ნათელი მზისად დაფარა“... (ლატ. ლექც. გვ. 469).

ალექსანდრე კვიპრელი მონაზონი: „რამეთუ ბრწყინვალებამან მისმან ნათელი მზისად დაფარა...“ (გვ. 77).

4. ჭვრის სასწაული გამოჩნდა არა ერთხელ, არამედ „მყოვარ უამ“.

„მოქცევად ქართლისად“: „და ესე არა ზედამომ იყო და არცა თანა-წარსლვით, არამედ მყოვარ უამ. და ქმანი დიდნი ისმოდეს. და ყოველი იგი ერი ჰედვიდა მას და ესმოდა ოხრად იგი გალობისად“ (გვ. 155).

„ეპისტოლე“: „ყოველსა სიმრავლესა ქალაქისასა ცხადად ეჩუენა. და არცალა ესრეთ თუ ვინმე ჰეონებდეს მწრაფლ ოცნებით ვარეწარსრულად, არამედ მყოვარ უამ ქუეყანით თუალითა ხილული და განცდილი“ (ლატ. ლექც. გვ. 469).

ალექსანდრე კვიპრელი მონაზონი: „ყოველსა სიმრავლესა ქალაქისასა ცხადად ეჩუენა. და არცალა თუ ესრეთ ოცნებით მსწრაულწარსრულად, არამედ მყოვარ უამ ქუეყანით თუალითა ხილული და განცდილი“ (გვ. 77).

5. ჭვრის სასწაულებრივმა გამოჩინებამ მრავალი წარმართი მოაქცია.

„მოქცევად ქართლისად“: „და ვითარ ჰედვიდეს სასწაულსა მას,

მრავალნი უღმრთოთაგანნი მოქცეოდეს და ნათელს-ილებდეს, და აღაშენებდეს ეკლესიათა“ (გვ. 155).

„ეპისტოლე“: „და აწ ჩუენ მყოფთა იერუსალემისათა საეურეველი მიუწდომელი ესე ხილვად ვიხილეთ თუალითა ჩუენითა და ღმერთსა ყოვლად მეუფესა ძესა მხოლოდ-შობილსა მისსა შუენირი მაღლობად და თაყუანის-ცემად შევწირეთ და ლოცვით განმარტებული შენისა მაგის ძლიერებისა კელმწიფებისათვს წმიდათა ამათ აღვილთა“... (ლატ. ლექც. გვ. 470).

ალექსანდრე კვიპრელი მონაზონი: „რამეთუ ამის სასწაულისა ძალითა, რომელი უზესთავს იყო სასწაულთა ქუეყანისათა, მრავალნი ათასი შეეძინნეს ქრისტეანეთა სარწმუნოებასა იერუსალემს და ყოველთა აღვილთა“ (გვ. 77).

ალექსანდრე კვიპრელი მონაზვნის თხზულების შესწავლითა და „მოქცევად ქართლისად“-ს მატიანესა, კირილე იერუსალიმელის „ეპისტოლესთან“ და სირიულ ლეგენდასთან შეპირისპირებით აშერა ბდება, რომ „მოქცევად ქართლისად“ იყენებს კირილე იერუსალიმელის „ეპისტოლესაც“ და ჯვრის გამოჩინების ლეგენდასაც, მაგრამ ისევე, როგორც ამას აღვილი აქვს ალექსანდრე კვიპრელი მონაზვნის საკითხავშიაც. როგორც ქართული მატიანე, ასევე ალექსანდრე კვიპრელის ნაწარმოებიც ერთნაირად არის დავალებული ზემოთ ხსენებულ წყაროთაგან.

„მოქცევად ქართლისად“-ს წყაროებს კ. კეკელიძე კვლავ ეხება თავის ერთ-ერთ ნაშრომში: „მოქცევად ქართლისად“-ს შედგენილობა, წყაროები და ეროვნული ტენდენციები“³⁸. იგი აქ სხვა წყაროებთან ერთად განიხილავს ზემოთ ონიშნული სირიული ლეგენდის ერთ-ერთ ნაწილს, რომელიც ქართულ ლიტერატურაში კირილე იერუსალიმელის სახელით იყო ცნობილი და რომელსაც „პოვნა პატიოსნისა ჭუარისად“ ეწოდება.

ავტორი ონიშნავს, რომ ქართველი მემატიანე კარგად იცნობს ამ ლეგენდის ტექსტს. მისი აზრით, „პროცესი მირიანის მიერ მცხე-თელ ურიათაგან ქრისტეს კუართის ამბის გამოყითხვისა ავტორს ისე აუგია, როგორც ეს მოცემულია ელენეს მიერ ქრისტეს ჯვრის მოკითხვის ამბავში“³⁹. მაგრამ ელენეს მიერ მაცხოვრის ძელის მოძიების ეპიზოდი, სირიული ლეგენდის ტექსტზე დაყრდნობით, ასევე გადმოცემული ალექსანდრე კვიპრელი მონაზვნის საკითხავშიც.

³⁸ ლიტერატურული ძეგბანი, I, თბ., 1943, გვ. 16—37.

³⁹ ასევე, გვ. 22.

ამავე ნაშრომში კ. კეკელიძე უურადლებას იმახვილებს იმ გარემოებაზე, რომ „მოქცევად ქართლისაა“—ს აეტორისათვის დამახასიათებელია ტენდენცია: „მეოთხე საუკუნის პირველი ნახევრის მცხეთელი მოღვაწეები. უშუალოდ პირველ საუკუნეში გადაიყვანოს და ქრისტეს ცხოვრების დროის ამბებსა და პირებს დაუკავშიროს“⁴⁰.

აქაც, ჩვენი აზრით, ამ მოვლენის მიზეზი კვლავ ალექსანდრე კვიპრელი მონაზენის საყითხავის ტექსტში უნდა ვეძებოთ, სადაც ჯერის გამოჩინების სასწაულის ეპიზოდს წინ უსწრებს ქრისტეს შობის, მისი ვნების, ჰეროდესა და სხვა მეცეთა ზეობისა და მრავალი სხვა ეპიზოდი.

ბუნებრივად ისმის კითხვა: შემთხვევითი ხომ არ არის ასეთი დამთხვევა? ან ხომ არ შეიძლება დაუკავთ, რომ „მოქცევად ქართლისაა“—ს აეტორი, მართლაც იყენებდეს კირილე იერუსალიმელის „ეპისტოლესა“ და სირიული ლეგენდის ტექსტებს დამოუკიდებლად, ალექსანდრე კვიპრელის ქრონიკაზე დაყრდნობის გარეშე?

ჩვენი აზრით, ყოველგვარი შემთხვევითობა უნდა გამოირიცხოს. ასევე უნდა გამოვრიცხოთ იმის შესაძლებლობაც, რომ ქართველი მემატიანე ზემოთ ხსენებულ წყაროებს იყენებდეს დამოუკიდებლად, ალექსანდრე კვიპრელის ქრონიკის გათვალისწინების გარეშე.

ამ შემთხვევაში ჩვენთვის ამოსავალია არა მარტო ზემოთ დასახელებულ თხზულებათა საერთო ეპიზოდები და მსგავსი, ანალოგიური ადგილები, არამედ ძირითადად გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ ამ ორი თხზულების—„მოქცევად ქართლისაა“—სა და ალექსანდრე კვიპრელის ქრონიკის სტრუქტურას და ხასიათს.

ორივე ეს თხზულება საისტორიო პროზის უანრს განეკუთვნება. ერთში მოთხრობილია ბერძენ და იუდეველ მეცეთა და იერუსალიმელ ეპისკოპოსთა ისტორია კონსტანტინე იმპერატორამდე, მეორე კი ქართველ მეცეთა და ეპისკოპოსთა ქრონიკა. ქრონიკების ხასიათიც ერთნაირია: თითოეულ მეცესთან დაკავშირდით ავტორები გადმოგვცემენ მის მეფობაში მომხდარ ერთ ან ორ მნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტს და მოიხსენებენ აგრეთვე იმდროინდელ ეპისკოპოსს ან კათალიკოსს⁴¹. თხზულების დასასრულს

⁴⁰ ლიტერატურული ძებანი, I. თბ., 1943, გვ. 22.

⁴¹ თხზულების ხასიათის შესახებ ის. ივ. ჭავახაშვილი. ძვ. ქართ. საისტორიო მუzeum... გვ. 104—105; ე. თავათ შვილი, სამი ისტორიულ ქრონიკა, ტფილისი, 1890, გვ. XCIII—XCIV.

ალექსანდრე კვიპრელი თავის ნაწარმოებში აგვიწერს ბიზანტიის მოქცევის ისტორიას, ქართველი მემატიანე კი ვაცნობს ქართლის მოქცევის ფაქტს. აქ, ამ ნაწილშიაც, ხდება ზემოთ დასახელებულ საყითხავთა დამთხვევა, სადაც ორივეგან ერთნაირად არის გამოყენებული როგორც კირილე იერუსალიმელის „ეპისტოლე“, ასევე ჯვრის გამოჩინების სირიული ლეგენდაც. ჯერ-ჯერობით ვერ მივაკვლიერ სხვა ისტორიული ხასიათის თხზულებას, სადაც ამ რიგითა და ამ-გვარად მოთხრობილი ყოფილიყო როგორც ბერძნ და იუდეველ მე-ფეთა ისტორია, ასევე ჯვრის გამოჩინების ფაქტებიც და რომელსაც ამდენი საერთო, ანალოგიური ხასიათის სიუჟეტი აღმოაჩნდებოდა ქართულ მატიანესთან. ყოველივე ეს ნებას ვვაძლევს ვივარაულოთ, რომ „მოქცევად ქართლისაა“—ს ავტორისათვის უცნობი არ უნდა ყოფილიყო ალექსანდრე კვიპრელი მონაზვნის ჯვრის გამოჩინებისა-დამი მიძღვნილი საყითხავი და თუ ქართველი მემატიანე იყენებს კირილე იერუსალიმელის „ეპისტოლესა“ და სირიული ლეგენდის ტექსტს, იგი აქ არასოდეს, არც ერთ შემთხვევაში, არ სცილდება ალექსანდრე კვიპრელი მონაზვნის თხზულების ფარგლებს.

თანაულების თარგმნის დრო

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ალექსანდრე კვიპრელი მონაზვნის თხზულება დაწერილია VI საუკუნეში. ამ ნაწარმოების ქართული თარგმანი შემონახულია უკვე IX საუკუნის პალიმფსესტურ ხელნაწერში (ლენინგრ. M. 13). საფიქრებელია, რომ ეს საყითხავი IX საუკ. საქართველოში ცნობილი უნდა ყოფილიყო, თუ კი მას იცნობს „მოქცევად ქართლისაა“—ს ავტორიც. ამის გამო თარგმანის შესრულების საზღვრები საკმაოდ მცირდება VI-დან IX საუკუნემდე. ჯერჯერობით, კვლევის ამ ეტაპზე არ მოხერხდა თარგმანის შესრულების დროის უფრო მეტად დაზუსტება.

ტექსტისათვის

ალექსანდრე კვიპრელი მონაზვნის ჯვრის გამოჩინების საყითხავის ტექსტის დასადგენად ვისარგებლეთ ხუთი უძველესი ხელნაწერით GMBCD:

G — sin. 93, იგივე Garrett—24.

M — მინგანა ქართ. 4.

B — Q—762.

C — Ox . № 1.

D — A—144.



ჩვენს მიერ გამოყენებულ ხელნაწერებში ტექსტი ერთი რედაქტით არის შემონახული. გამოცემისათვის ძირითად ნუსხად გამოვიყენეთ G ხელნაწერი, როგორც უძველესი, ცალკეულ შემთხვევებში მისი ნაკლული აღგილები შევავსეთ BCM ხელნაწერებით.

ტექსტის გამოსაცემად მომზადებისას გამოვრიცხეთ A—518 გვიანდელი ნუსხა და ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის M—13 ხელნაწერის ფრაგმენტი, რომლებიც ძირითადი ტექსტისაგან სავსებით არ განსხვავდებიან.

ტექსტის დაღვენისას მაქსიმალური სიზუსტით არის დაცული ხელნაწერთა წაკითხვები. მხოლოდ ერთ შემთხვევაში ჩასწორდა C (ე მერვე) — „იერუსალემი“.

ХРОНИКА АЛЕКСАНДРА КИПРСКОГО

(по рукописям X—XIV вв.)

(Резюме)

Древнегрузинская литература на протяжении веков развивалась в тесной связи с византийской литературой. Желая обогатить родную литературу, грузинские писатели, ученые и переводчики уже с V века, наряду с интенсивным оригинальным творчеством, занимались переводами литературных памятников с греческого, арабского, армянского, сирийского языков как известных, так и малоизвестных авторов средневековья.

ტინეს უძლეველსა, მე, კკრილე ეპისკოპოსი იერუსალემისაც¹⁵, გიო-
რგოთხავ უფლისა მიერ: გიხაროდენ, პირველად ამას იერუსალემით¹⁶,

¹ შეულისა C. 2+ დღი C. 3 ი-სლომს B. ი-შმს C. 4 უზესშთაეს C. 5 შეუ-
ლისათვეს C. 6 გმოუცდელთა C. 7 მყისა C. 8 წინა B. 9 ყოვლად C. 10 იერუსალემისა
B. იერუსალემსა C. 11 სიტყუად B. 12 რომელ არს—C. 13~მეფისა წიგნი B]+კოს-
ტინენეს C. 14 ი-სლომს B. იერუსალემს C. 15 ი-სლომისა B. ი-შმისა C.
16 ი-შმით B. ი-შმით C.

შენ, ღმრთის-მოყუარესა მეფესა, მივიძლუანებ წიგნთა ნაყოფსა, რო-
მელი ჯერ-არს ჩუენდა¹ მოქსენებად და თქუენდა შეწყნარებად არა
სიტყვთა ლიქნისამთა სავსე, არამედ ზეცით უწყებითა და გამოჩინე-
ბითა ღმრთისამიერითა. არა თუ სიტყვად მეცნიერთაგან დაწერილი,
არამედ წინაასწარ თქუმული წმიდათა სახარებათაგან საქმეთაგან სრუ-
ლთა და წამებითა კეშმარიტისამთა, სხუათა რომელთამე აქუს შენგან
პატივი და მრავალგზის გვრგვნთა იქმან და შეამობენ ანთრაკითა
ბრწყინვალითა მრავალფერად და შენ მივიძყრობენ: ხოლო ჩუენ არა
ქუეყანისა ვკ[IV]რევნთა მივიძლუანებთ, რამეთუ ქუეყანისა ნიჭსა ალ-
სასრული აქუს, ხოლო ზეცისა ნიჭსა წარუვალი აქუს შეწევნაც², შე-
ნისა მაგის ღმრთის-მსახურებისა მეფობისა ეამთა, რომელი იერუსა-
ლემს³ გამოუჩინდა⁴.

ჩუენ შენსა მაგას ღმრთის-მსახურებისა ვაუწყებთა, არა თუ აწ
რამე⁵ შემოხუედ⁶ ღმრთის-მსახურებად უმეცრებისაგან⁸, რამეთუ შე-
მძლებელ ხარ სხუათა სწავლად⁹, რომელსა ჰმსახურებ. არამედ¹⁰ ესე
იცოდე, აწ, რამთა უმეტეს დაემტკიცოს¹¹ მეფობად¹² შენი¹³ და¹⁴ მა-
მული დაიმკვდრო¹⁵ ღმრთისა მიერ მონიჭებული შენდა ზეცით და
ღმერთისა, ყოველთა მეფოესა¹⁶, აწცა სათნოდ მიეც მაღლი და უფრო-
მსლა მტერთათვს განძლიერდი, რამეთუ¹⁷ შენისა მეფობისად საქმე¹⁸
არს სიყუარული ღმრთისა.

გულისქმა-ყავ, რამეთუ ღმრთის-მოყუარესა და სანატრელისა კო-
სტანტინე მამისა შენისა ზე ცხოველი ჯუარი იპოვა იერუსალემს¹⁹ მა-
ღლითა ღმრთისამთა და გულს-მოღვინელ ძიებითა ღმრთის-მსახურე-
ბისამთა მოემადლა²⁰ პოვნად²¹ დაფარული წმიდათა აღვილთა²². ხოლო
შენ ზე²³, უფალო და ღმრთის-მოყუარეო მეფეო, უფრომს მამისა [129]
შენისა ღმრთის-მსახურისა და ღმრთის-მოყუარებითა შენითა უფრომს-
და აწ არათუ ქუეყანით, არამედ ზეცით წმიდისათვს ჯუარისა ვაუ-
წყებთ²⁴ საკურველებათა²⁵ უფლისა ჩუენისა და მაცხოვრისა იესუ ქრის-
ტეს, მხოლოდ-შობილისა ძისა ღმრთისა, რომელმან სიკუდილი ძლე-
ვით დათრგუნა²⁶.

¹ ჩუენ მიერ B. ² ~ შეწევნაა აქუს B. ³ იშრესალის B. იერუსალემს C.

⁴ ავგოსტინდა იშრესალის B. ⁵ ღმრთის-მსახურებასა ვაუწყებთ] მსწრაფლ მოველით
უწყებად C. ⁶+ უცეცრებით C. ⁷ შემოხუედ B. ⁸ უმეცრებისაგან—C. ⁹⁺ მის მიერ B.
¹⁰⁺ რომელი C. ¹¹⁺ და C. ¹² მეფობისა C. ¹³ შენისა C. ¹⁴ და—C. ¹⁵ ~ღა-
მკედრო მამელი B. ¹⁶ მეფესა B. ¹⁷ რამეთუ—C. ¹⁸ ~ შენისა მეფობისა საქმე B.
¹⁹ იშრეს B. იშრეს C. ²⁰ მოემადლა—C. ²¹ პოვნად—C. ²²⁺ მოემადლა პოვნად
C. ²³ ზე C. ²⁴ წმიდისათვს ჯუარისა ვაუწყებთ—C. ²⁵ საკურველებანი C. ²⁶⁺ წმი-
დისათვს ჯუარისა ვაუწყებ C.

ნათლად, მარმარილოდ სახელ გამობრწყინვებულად, იერუსალემის გამოჩნდა, რამეთუ წმიდათა მათ დღეთა ერგასისთა მარტინიად-სათა², თუესა³ მაისსა შედსა⁴, მესამესა უამსა დღისასა, ყოვლად დიდად შეცნიერად ჯუარი, ნათლითა შექული ცათა შინა, ზედა წმიდასა⁵ გოლგოთასა ვიდრე წმიდად მთამდე⁶ ზეთის ხილთა გარდართხმულად ჩუენდა. არათუ ერთსა ხოლო, გინა⁷ ორსა ეჩუენა⁸, არამედ ყოველსა სიმრავლესა ქალაქისასა ცხადად ეჩუენა⁹. და არცალ თუ ესრეთ ოცნებით მსწრაფლ წარსრულად, არამედ მყოვარ უამ ქუეყანით თუალითა ხილული და¹⁰ განცდილი. რამეთუ ბრწყინვალებამან მისმან ნათელი მზისად დაფარა, ხოლო რომელი-იგი მის ქუეშე ძლევით დაფარულ იყო უძლიერესად, რომელინი-იგი¹¹ ხედვიდეს, გამოსცემდა ბრწყინვალებასა და ყოველნი მისგან შეძრწუნებულნი ეკლესიად [v] მირბიოდეს სიმრავლე ქალაქისად. მაშინ¹² ჩუენებამან¹³ საშინელმან¹⁴ შიშითა და სიხარულითა შეიძყრნა ყოველნი¹⁵ ერთბამად ჭაბუკი¹⁶ და მოხუცებულნი, დედანი და მამანი და ყოველი¹⁷ ჰასაკი¹⁸, რამეთუ¹⁹ სახლებითკა მათით ხედვიდეს გუგამთა²⁰ თუალითა²¹ მათთამთა²². მკულრნი და უცხონი ქრისტეანენი და სხვთ მოსრულნი წარმართნი ერთბამად ყოველნი ერთითა პირითა ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა²³ საკრეველო-მოქმედსა იქებდეს საქმით და განცდით შეწყნარებულსა. რამეთუ ქრისტეანეთა სარწმუნოებად ღმრთის-მსახურებად არს, არა თუ სმენითა სიბრძნისამთა, არამედ ძალითა²⁴ და²⁵ მოცემითა სულისა წმიდისამთა. და²⁶ არა კაცთაგან თხრობილი, არამედ ზეცით ღმრთისა მიერ წამებული და დამკვდრებული²⁷.

ესე მიწერა კკრილე ეპისკოპოსმან კოსტანტინე მეფისა და აუწყა, რამეთუ ამის სასწაულისა ძალითა, რომელი უზესთაეს იყო სასწაულთა ქუეყანისათა, მრავალნი ათასნი შეეძინნეს ქრისტეანეთა სარწმუნოებასა იერუსალემს²⁸ და ყოველთა [130] აღვილთა.

აქამომდე ვყოთ სიტყუად პოვნისათვს ჯუარისა ცხოველისა, ხოლო ნუ ვინ აკოუნებს თავსა თვისსა ცულითა სიტყვთა²⁹ და ტყუურილისა მანქანებითა და ნუკა შემოაქუს ამას თქუმულსა შინა, რომელი გამოწულილვით გამოიჭეშმარიტა საღმრთოთა წიგნთაგან ზედა მიწევნითა ჭეშ-

¹ ოცლის B. ოცლს C. ² მარტინისათა C. ³ თებსა B. ⁴ შედსა—C. ⁵ წინა B. ⁶ მთადმდე C. ⁷ ივინი B. ⁸ უჩუენა B. ⁹ ეჩუენა B. ¹⁰ და—C. ¹¹ მის ქუეშე ძლევით დაფარულ იყო უძლიერესად, რომელი იგი—B. ¹²⁺ ღმრთის C. ¹³ ჩუენებამან B. ¹⁴ საშინელმან—C. ¹⁵ ყოველნი—C. ¹⁶ ~ჭაბუკი ერთბამად B. ¹⁷ ყოველნი C. ¹⁸ ჰასაკი C. ¹⁹ და C. ²⁰ გუგითა B. ²¹ თუალისა C. ²² მათთამთა C. ²³⁺ ძესა ღმრთისას C. ²⁴ ძალითა—C. ²⁵ და—C. ²⁶⁺ ძალითა C. ²⁷ იერუსალიმს B.

მარიტითა, მიზეზი უცხოთა სიტყუათად. რამეთუ არა ოდეს იყო ერუსალემსა¹ ზედა ეპისკოპოსი თვნიერ ამათსა, რომელინი წინააშშარ აღწერით არიან ჩაუენ მიერ და არცა სხუად მეფე ბერძენთა ზედა მეფისა აგვესტოსითვანი², რომლისა ზე³ იშვა უფალი ჩაუენი იქსუ ქრისტე⁴ ქორცითა, ვიდრე კოსტანტინე მორწმუნისამდე თვნიერ ამათსა, რომელინი აღწერილ არიან ჩაუენ მიერ და არცა სხვთა მიზეზითა პოვნილ არს ჯუარი ცხორების მომცემელი.

და რამეთუ აგვესტოს კეისრისამთვან, რომლისა ზე⁵ იშვა უფალი ჩაუენი ქორცითა, ვიდრე კოსტანტინე მორწმუნისამდე ოცდაათხუთმეტნი მეფენი იცვალნეს ბერძენთა ზედა და ეგრეთვე იყობ მოციქულისა, ძმისა უფლისა და პირველისა ეპისკოპოსისამთვან, [vi] ოცდაათხუთმეტნი⁶ ეპისკოპოსი იცვალნეს იერუსალემსა⁷ ზედა⁸, ვიდრე კვრილე ეპისკოპოსისამდე და პატიოსნისა ჯუარისა ზეცით გამოჩინებადმდე⁹ 200). ხოლო დღე¹⁰ განახლებისა და კურთხევისად¹¹ წმიდათა და დიდებულთა ადგილთად და აპყრობისად¹² თაყუანის-საცემელისა პატიოსნისა ჯუარისად განაწესეს წმიდათა მამათა ბრძანებითა სამეუფოვთა, რამთა იყოს ერთგზის¹³ წელიწადსა შინა თუესა¹⁴ სეყდენბერსა ათოთხმეტსა სადიდებელად მამისა და ძისა და წმიდისა სულისა საუკუნიდ¹⁵ 201).

აშ უკუე¹⁶ ვინახთვან მადლითა ღმრთისამთა მოვიწიენით თქუმულთა ამათ სისრულესა და¹⁷ ვიდრე დღესასწაულადმდე¹⁸ უქმნელებისა¹⁹ ჩუენისა, რომელ არს გამოჩინებად განმაცხოველებელისა ჯუარისად, მსგავსად ძალისა ჩუენისა ვაქოთ²⁰ და ვადიდოთ ძელი ცხორების მომცემელი და მივსცეთ მას ხარებად²¹, ვითარცა იტყვს წინაწარმეტყული დავით²²: მაშინ იხარებდენ ყოველნი ხენი მაღნარისანი²³ პირისაგან უფლისა, რამეთუ მოვალს*. და აშ ჩუენცა [181] მის თანავიტყოდით და ვთქუათ:

გიხაროდენ, ჭ ჯუარო პატიოსანო! გიხაროდენ, რამეთუ შენ ზედა უფალი ჩუენი იქსუ ქრისტე²⁴ აღმაღლდა²⁵ განვებულებითა²⁶ მით²⁷, რომელსა²⁸ შინა დაუნჯებულ არიან საფასენი ყოვლისა²⁹ სიხარულისა და მხიარულებისანი.

გიხაროდენ, ძელო ცხორების მომცემელო³⁰! გიხაროდენ, რამეთუ

¹ იმრუსალიმსა B. ² აგვესტოსისეგან B. ³ ზუ C. ⁴ ქრისტე—B. ⁵ ზუ C. ⁶ ათხუთმეტნი B. ⁷ იმრუსალიმსა B. იმრუსალ ქმსა C. ⁸ ზედა—B. ⁹ გამოჩინებად C. ¹⁰ დღე B. ¹¹ კითხვისა B. ¹² აპყრობისა B. ¹³ ქროფერ C. ¹⁴ თუშსა B. ¹⁵ წ—სა—კითხვის ჯუარისათვესე D. ¹⁶ უკუ BC. ¹⁷ და—BC. ¹⁸ დღესასწაულისამდე BC. ¹⁹ უქმნელობისა B. ²⁰ ვთქუათ D. ²¹ სიხარებად BC. ²² ~დავით წინაწარმეტყული იტყვს D. ²³ მაღნარისა D. ²⁴ ქრისტე D. ²⁵ ამაღლდა BC. ²⁶ განვებულებით C. ²⁷ მით—CD ²⁸ რომლისა BC. ²⁹ ყოვლისა—D. ³⁰ ცხორების მომცემელო D.

* ფსალმუნი 95, 12.

შენ მიერ მოგვემაღლა¹ სიხარული, რომელი აღმოსცენდების მართვის ცათა შინა და ქუეყანასა ზედა.

გიხაროდენ, ჭუარო პატიოსანო, ცხორებისა სასოო, რამეთუ დამბადებელმან პირველითვან ყოველნი დაბადებულნი სახედ შენდა დაპატიოდა.

იხარებდ, ძელო ძლევა-შემოსილო, რამეთუ ყოველნი² ძალნი ზეცისანი იხარებენ ცხორებისათვს შენ ძლით ყოფილისა და შესწირვენ ღმრთისა³ გალობასა შიშით⁴ დაუღუმებელად და⁵ დაუცადებელად⁶ ყოველსა ეამსა.

გიხაროდენ, ჭ⁷ ჭუარო დიდებულო, რამეთუ შენ მიერ ქალაქთა და უდაბნოთა და ყოველთა ადგილთა კელესიანი მართლმადიდებელთანი დამყარებულ არიან.

გიხაროდენ, ჭ⁸ ძელო სადიდებელო, რამეთუ შენ მიერ აღეხუმიან⁹ ყოველნი პირნი მორწმუნეთანი აღმოთქუმად სიტყუათა საღმრთოთა.

გიხაროდენ, ჭ⁹ ჭუარო [v] სამ გზის სანატრელო, რამეთუ შენ მიერ ანგელოზნი ზეცისანი კაცთა თანა ქუეყანისათა მოხარულნი ადიდებენ ქრისტესა ღმერთსა, მაცხოვარსა ჩუენსა.

გიხაროდენ, ძელო საგალობელო, რამეთუ შენ მიერ ქუეყანისა¹⁰ კაცნი, ვითარცა ანგელოზნი, ცათა შინა მდგომარე არიან წინაშე ღმრთისა სიხარულითა გამოუთქუმელითა და¹¹ ადიდებენ მარადის¹² დამბადებელსა მათსა¹³.

გიხაროდენ, ჭ ჭუარო საქებელო, რამეთუ¹⁴ შენ მიერ განთავისუფლდა ადამ წყვეისაგან¹⁵ და მხიარული და განახლებული კუალად სამოთხედვე შევიდა და მოილო პირველი იგი¹⁶ ნეტარებაა.

გიხაროდენ, ძელო წმიდაო და წმიდა-მყოფელო ყოველთაო, რამეთუ შენ ზედა დამშკუალვითა¹⁷ ძისამთა¹⁸ სამებაა წმიდამ; სწორი ბუნებითა, ყოველსა ადგილსა იცნობა და იჩწმუნა და იღიდა სამარადისოდ და¹⁹ უკუნისამდე.

გიხაროდენ, ჭ ჭუარო თაყუანის-საცემელო²⁰, რამეთუ შენ მიერ ყოველი სული, რომელსა პრწამს ქრისტე²¹ ჰეშმარიტებით, ცხონდების²² სამარადისოდ და უკუნისამდე. გიხაროდენ, ძელო, ყოველთა

¹ მოგუშმაღლა B. ² შენი D. ³ ღმერთსა—D. ⁴⁺ ღმრთისა D. ⁵ და—C.

⁶ უცალუებელად D ⁷ ჭ—BC. ⁸ აღექუმან B. ⁹ ჭ—D. ¹⁰ ქუეყანისანი B. ¹¹ და—D.

¹² ვარადის—D. ¹³⁺ ვარადის D] ~ დამბადებელსა მათსა ვარადის C. ¹⁴ რამეთუ—D.

¹⁵ წყვეისა გისგნ D. ¹⁶ პირველიე D. ¹⁷ დამშკუალულითა D. ¹⁸ ძელისამთა B.

¹⁹ და—B. ²⁰ თაყუანის-ცემულ D. ²¹ ქრისტე D. ²² ცხომდების D.

მიერ ამაღლებულო¹, რამეთუ შენ მიერ ყოველი კეთილი წარუცალი ნი მოცემულ არიან კაცთა ნათესავსა² [182] ჭერისაებრ³.

აში უკუე⁴ რავდენი ვთქუათ, ანუ რავდენი დავაცადოთ⁵, ანუ ვთარ ვადიდოთ ძალი⁶ ჭუარისა დიდებულისად?!

ეპა, სახელი ჭუარისად, რომელსა შინა⁷ დიდებული ნი⁸ საიდუმლონი⁹ ღმრთისა და¹⁰ მაცხოვრისა¹¹ ჩუენისანი¹² დაფარულ არიან. ანგვლოზთა პატივი¹³ არს და კაცთა დიდებად¹⁴. რამე უკუე¹⁵ იყოს უსაწადელცს¹⁶ სახელისა¹⁷ ჭუარისასა და¹⁸ უტებილცს¹⁹ შეჭულისა²⁰ ქრისტეანობისასა? ანუ რამე იყოს უფროოშ სასწაულთა მყოფელ²¹ ჭუარისა და²² ჭუარ-ცუმულისა?

ჭუარი ნიში არს ღმრთებისა ძალისა²³ საკურველთ-მოქმედისად²⁴.

ჭუარი სიხარული²⁵ არს ანგვლოზთად და მწუხარებად ეშმაქთად.

ჭუარი საფუძველი²⁶ არს ეკლესითად და დამამკობელი საკერპო-თად.

ჭუარი სანთელი არს ყოვლისა დაბადებულისად და ნათელი სამარა-დისომ ყოვლისა განმანათლებელი.

ჭუარი ზღუდე არს შეურყეველი და გოდოლი დაურღვეველი²⁷.

ჭუარი სინათლე²⁸ არს მღდელთად და შეუნიერებად ერისად.

ჭუარი სიქადული არს მეფეთად და ძლიერებად მფლობელთად. [v]
ჭუარი საჭურველი არს ძლიერთად და ფარი მბრძოლთად²⁹ უძლე-30ლი.

ჭუარი ჭური არს მქედართად³⁰, შეუძრწუნებელი წინააღმდეგომ-თაგან.

ჭუარი მცველი არს ქალაქთად და მფარველი ყოვლისა დაბნებისად³¹.

ჭუარი სიხარული არს მორწმუნეთად და მწუხარებად ურწმუნო-თად.

ჭუარი წარმომტყუნებელი³² არს ეშმაქთად და ყოველთა მორჩილ-თა მისთად.

ჭუარი საშინელება³³ არს მტერთად³⁴ და განმაძლიერებელი³⁵ მო-ყუარეთად³⁶.

1 ამაღლებულო D. 2 ნათესავისადა B. 3 ჭერისაებრ—B. 4 უკუშ B. 5 დავაკლოთ D. 6 ძელი B. 7 გინა—B. 8 დაბადებული B. 9 სამდუმლონი B. 10 და—D.
11 მაცხოვრისანი D. 12 ჩუენისანი—D. 13 პატივ D. 14 დიდება D. 15 უკუშ B.
16 უსაწადელეს B. 17 სახელა B. 18 და—D. 19 უტებილეს B. 20 სეჭულისა B. შეჭულსა D.
21 მყოფელ სასწაულთა B. 22 და—D. 23 ძალისად D. 24 საკურველთ-მოქმედისა D.
25 სიხმილი B. 26 სასუფელელი D. 27 დაურღვეული B. 28 სინათლი D. 29 მპერძელ-თად D. 30 პენითად B. 31 დაბნებისა ყოვლისად D. 32 წარმომტყუნებული B. წარ-მწმდედელი D. 33 საშინელებად B. 34 მტერთა D. 35 გამძლიერებელ D. 36 მოყვარე-თა D.

ჭუარი განმდევნელ¹ არს ეშმაქთად² და მომწოდებელ³ ანგელოზ-
თად⁴.

ჭუარი სასოდ არს ქრისტეანეთად და შემაძრშუნებელი უქრისტო-
თად⁵.

ჭუარი სიმტკიცე არს შჯულისად⁶ და განმაქარვებელი წვალები-
სად⁷.

ჭუარი მეურნალი არს კელოვანი სულთა და კორპთად.

ჭუარი ძალი არს უძლეურთად და ლხინებად სნეულთად.

ჭუარი ნავთ-საყუდელი არს მენავეთად და მაცხოვარი ღელვა-გუე-
მულთად.

ჭუარი შშკდობად არს ზარ-განკდილთად და სასოდ განწირულთად.

ჭუარი მცველი არს მტერთაგან და მფარველი მოძულეთაგან. [133]

ჭუარი სიქადული არს მართლმადიდებელთად და სატანჯველი
მწვალებელთად.

ჭუარი დამქსნელი არს კერპთ-მსახურებისად და შემწიც⁸ კეთილად-
მსახურებისად.

ჭუარი მოძლუარი არს უბიშოთად და მასწავლელი შეცოომილთად⁹.

ჭუარი მცველი არს ქალწულთად და სიმტკიცე¹⁰ მოსავთა მის-
თად.

ჭუარი სიმწე¹¹ არს¹² მართალთად და სინანული ცოდვილთად.

ჭუარი სამკაული¹³ არს მონაზონთად და შუენიერებად¹⁴ კეთილად
ცხორებულთად.

ჭუარი მზრდელი არს ჩჩიკლთად და თანამავალი ჭაბუკთად¹⁵.

ჭუარი სასოდ არს ყრმათად და კუერთხი¹⁶ მოხუცებულთად.

ჭუარი საფასც¹⁷ არს გლახაჟთად მოუკლებელი და მასწავლელი
მდიდართად დაუცადებელი.

ჭუარი გზად არს შეცოომილთად და მომაქცეველი წარწყმელულ-
თად.

ჭუარი—განმსუენებელი¹⁸ მაშურალთად და სიმტკიცე¹⁹ ძლიერთად.

ჭუარი თანამავალი არს²⁰ მორშმუნეთად დღისი და მცველი
ღმრთის-მსახურთად ღამე²¹.

ჭუარი წინამძლუარ არს²² მღვდარეთად და მფარველი მძინარეთად.

¹ განმდევნელი B. ² ეშმაქთა D. ³ მომწოდებელი B. ⁴ ანგელოზთა D. ⁵ უქრი-
სტრანთად B. ⁶ სჯულისად B. ⁷ წყვეისად B. ⁸ შემწე B. ⁹ შეცოომილთად D. ¹⁰ სიმტკი-
ცე B. ¹¹ სიმწე B. ¹² არს—B. ¹³ სამკაული B. ¹⁴ შუენიერებად D. ¹⁵ ჭაბუკთად
D. ¹⁶ კუშრთხი B. ¹⁷ საფასც B. ¹⁸ განმსუენებელი B. ¹⁹ სიმტკიცე B. ²⁰ არს—B.

²¹+ ყოლადევ D. ²² არს—B.

ჭუარი გზად არს საღრთოა, მიმუვანებელი სამოთხედ.

ჭუარი ბეჭედი არს ღმრთისად, სიქაღული ქრისტის მორწმუნებისად.

ჭუარი ტაბლად არს შშიერთად და განმაძლებელი ქრისტის მორწმუნეთად¹.

ჭუარი წესი არს² კეთილისად მორწმუნეთათვეს³ და ყოვლისა სოფლისა⁴ სილრმე⁵ დაწყნარებისად⁶.

[V] აშ უკუკ? რავდენი ვთქუათ, ანუ რავდენი დავაცადოთ, ანუ ვითარ გაღიღოთ შენ⁸, მ ჭუარო პატიოსანო, ცხორება-შემოსილო? რამეთუ შენ მხოლოდ ყოველთა დაბადებულთაგან მეუფებან⁹ დიდებისამან გყო საჭურველად უძლეველად¹⁰ მტრითა მიმართ, ეშმაქთა¹¹ და¹² სამელნი ლირს ვიქმნენით ხილვად დღესა მას¹⁴ წინაპყრობისა¹⁵ შენისა წმიდისასა.

შენ ხარ ქაღაგბული წინაწირმეტყუელთად, შენდამი იხარებენ ყოვლადვე, ლალადებენ ღმრთისა მიმართ და იტყვან: მოგუეც სასწაული მოშიშთა შენთა¹⁶, რახთა განვერეთ პირსა მშვილდისასა.

შენ ხარ სიქაღული მოციქულთად, რამეთუ იგინი¹⁷ დაუცხრომელად ლალადებენ¹⁸ წმიდასა შინა¹⁹ ეკლესიასა ქაღაგებითა მათითა მხოლოდთა წმიდითა და იტყვან: ხოლო ჩუენდა²⁰ ნუ იყოფინ სიქაღულ, გარნა ჭუარითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა²¹.

შენ ხარ გვრგვნი მორწმუნეთად, რომელთა ჭუარი აღიღეს²² და²³ მსწრაფლ²⁴ შეუღეს უფალსა თვესა²⁵.

შენ ხარ სიხარული და სიქაღული²⁶ მათი, რომელი მეკდრ არიან მთათა და ქუაბთა და ნაპრალთა ქუეყანისათა სახელისათვს ღმრთისა, რამეთუ მათ კორცნი მათნი ჭუარს-აცუნეს ვნე[134] ბითურთ და ტკი ვიღით.

შენ ხარ მახლობელთა და შორიელთა დაწყნარებად და განსუენებად²⁷.

ეჰა, სიხარული ჭუარისამიერი, რომელი გამოუთქუმელ არს.

ეჰა, საიდუმლოდ მისი, რომელი მიუწდომელ არს და ვიტყვ მეტა.

1 ჭუარი ტაბლა არს . . . და განმაძლებელი ქრისტის მორწმუნეთა—BC.

2 არს—B. 3 წარმართთათვს BD. 4 სოფლისა + სიმტკიც სიბრძნისად და D.

5 სილრმე C]+დ სიმალუ 6 D. 6 დაწყნარებისა C. 7 უცუ B. 8 მ—D. 9 მეცემან

B. 10 უძლეველად D. 11 ეშმაქთა—B. 12 და—D. 13 ჩუენ B. 14 აჩას C. 15 წმიდასა

გამოჩინებისა D. 16 ყოველთა D. 17 იეს B. 18 ~ ლალადებენ დაუცხრომლად B.

19 შენსა B. 20 ჩუენა B. 21 ქრისტესითა D. 22 აღეს D. 23 და—BC. 24 მსწრაფლ CD]

+და B. 25 ~თვესა უფალსა D. 26 ~სიქაღული და სიხარული D. 27 განსუენებად B.

ეპა, სიღრმე¹ და სიმდიდრტ² მრავალფერისა მის მეცნიერებისა
ღმრთისად, რამეთუ სიბრძნენი მისნი გამოუკულეველ³ არიან.

ხისა მიერ ცხორებისა მოვკულედით⁴ და ძელისა მიერ სიკუდილისა-
გან⁵ ცხოველ ვიქმნენით და⁶ მაღლითა⁷ ღმრთისახთა⁸ ვიქსნენით,
რომელი აურაცხელ არს. ამისთვის ჯერა-არს ჩუენდა, რამთა ვყოთ დღე⁹
ესე დღესასწაულად სიხარულისად¹⁰, უამსა ყუავილისასა, კიდემდე სა-
კურთხეველისა. ესე უამი არს ყუავილისად, რომელნი უდებებით და
დაძუელებით შებაყლებულ არიან ცოდვითა.

აწ განახლებით და მოსწრაფებით შეიმკვნენ დიღებულად და გან-
ცხრომად მათ თანა, რომელნი¹¹ განსცხრებიან¹² დღესა ქორწილისასა¹³
და იხარებენ მხიარულებით ყოვლითა გულითა.

აწ მოვედით¹⁴ და მოვიღოთ¹⁵ ბრძანებისაებრ და განვაგდოთ უდე-
ბებით დაქსნად [v] გონებისა ჩუენისად¹⁶ და სრულ ვიქმნეთ მოქსე-
ნებითა დღისა ამის¹⁷ საღიღებელისახთა¹⁸ დღესასწაულითა ცხოველს-
მყოფელისა ჯუარისახთა.

წინაწარმეტყულებითა¹⁹ და სარწმუნოებითა, ვითარცა წიგნი იტყ-
ჭს, განვიძანნეთ ცოდვანი და მოვიღოთ²⁰ კაღინიერებად და ოლვიღოთ
ბეჭთა ჩუენთა ზედა საჭურველი უძლეველი ცხოველს-მყოფელი ჯუა-
რი, რომელი ზეგარდამო შევიწყნარეთ დასაწყნარებელად და დასამშ-
კდებელად ყოვლისა რისხევისა და ღალად-ვყოთ ღმრთისა მიმართ ჩუ-
ელებისაებრ²¹ გალობისა ანგელოზთაასა²²: წმიდა²³ არს უფალი, წმი-
და²⁴ არს ძლიერი, წმიდა²⁵ არს უკუდავი უკუნისამდე და უკუნითი
უკუნისამდე. ამენ.

ჭ წმიდაო სამებაო, მიუწლომელო და გარე-შეუწერელო და გამო-
უთქმელო, სწორო ბუნებითა და მოსაყდრებითა²⁶ და უამითა და
დიღებითა, შეგვწყალენ²⁷ ჩუენ, ულირსნი ესე, და შეგვნდვენ შეცოდე-
ბანი ჩუენნი, და ნუ დაგუში²⁸ უშკულოებათა²⁹ ჩუენთათჭს. და ნუ მარ-

1 სიღრმე BC. 2 სიმდიდრე BC. 3 გამოუთქმელ D. 4 მოკუბდით B. მოვე-
დით C. 5 სიკუდილისა D. 6 და—D. 7 მაღლისგან C. მაღლისა D. 8 ღმრთისა D.
9 დღს C. 10 სიხარულისა D. 11 განცხრომად მათ თანა, რომელნი—B. 12 განსცხრე-
ბოდიან B. განსცხრებიერ C]—და მხიარულ იყენენ B. 13 დღესა ქორწილისასა—B.
14 მაღლით B. 15 და მოვიღოთ—B. 16 ჩუენისა D. 17 მის B. 18 დიღებულისახთა B.
19 წყალობითა D. 20 მოვიღოთ D. 21 ჩუელებისაებრ B. 22 ანგელოზთა გალობი-
სა B. 23 წმიდ BC. 24 წმიდ BC. 25 წმიდ BC. 26 მოსაყდრომითა D. 27 შევიწყა-
ლენ BC. 28 დაგუში B. 29 უსტულოებათა B.

ცხუნ¹ კადნიერად წარმდებებისათვს² და³ რომელ-ესე კელ-ვყავ⁴ უ-
ებბან⁵ უმეცრებასა შინა ჩემსა—ნაკლული ესე ქებად პატიოსნისა ჯუა-
რისამ, არამედ შეიწირე, ვითარცა [185] ხარეი თანა-მდები, უძლუ-
რისა მოსესხისაგ⁶ ნაკლულებით გარდავდილი და მიიღე შესხმად ესე,
მსგავსი უძლურებისა ჩემისად. და მომეც მე მადლი⁷ მსგავსი სახიე-
რებისა⁸ და ძლიერებისა შენისად და⁹ დაიცვენ ყოველნი მოსავნი
სახელისა¹⁰ შენისა წმიდისანი და მოგუეც¹¹ პოვნად წყალობად
და სახიერებად შენი დღესა მას მიგებისა შენისასა სამართლად. ჩამეთუ
შენ ხარ ღმერთი ჩუენი და შენდა შუენის¹², მამაო და ძეო და სულო
წმიდაო, დიდებად და პატივი და თაყუანის-ცემად უწინარტს¹³ საუკუ-
ნეთა და აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამენ.

¹ მარცხუნ B. ² წირმდებებისა+ჩემისათვს D. ³ და—C. ⁴ კელ-ვყავ+მე B.

⁵ უცხებასა C. უღებასა D]+და CD. ⁶ მოსესხისა D. ⁷+შენი B. ⁸+შენისად B.

⁹ და—D. ¹⁰ სახლისა D. ¹¹ მოგუეც B. ¹² შუშნის B. ¹³ უწინარტს B.

პომენტარები

1) ოროგინე — ორიგენე, ცნობილი თეოლოგი და სასულიერო მწერალი (185—254 წწ.). დაიბადა ეგვიპტეში — ალექსანდრიაში. აქ მან მიიღო საფუძვლიანი ქრისტოლოგიური განათლება. ორიგენეს დიდი დამსახურება მიუძღვის ბიბლიის შესწავლის საქმეში. მისი მსოფლმხედველობისათვის დამახასიათებელია ქრისტიანული მოძღვრებისა და ელინიზმის შეთანხმების ცდები.

2) აქ ავტორს მხედველობაში აქვს ორიგენეს მოსახრება სულის წინასწარ არსებობის შესახებ.

3) ავტორი გულისხმობს ორიგენეს პიროვნებისა და მოძღვრების გარშემო ატენილ დიდ მითქმა-მოთქმას, რომელიც VI საუკუნეში ორიგენიზმის წინააღმდეგ მიმართულ ნამდვილ ბრძოლად გადაიქცა. 553 წელს კი კონსტანტინპოლის მეხუთე მსოფლიო კრებამ ორიგენეს ბრალად დასდო მწვალებლობა და დაადგინა მის თხზულებათა განადგურება.

4) ენმანველ — იესო ქრისტეს ერთ-ერთი სახელწოდება: „რომელ არს თარგმანებით: ჩუენ თანა ღმერთი“. მათე 1,23.

5) ჰეროდე მეფე — ანტიკატროსის ძე, იუდეველთა მეფე (ძვ. წ. 37—4 წწ.). მისი მეფობის დროს მოხდა ქრისტეს შობა: ჰეროდე დიდის გამეფებით ბოლო მოეღო ხასმონელთა დინასტიის ბატონობას, რომელიც იუდეაში 130 წლის განმავლობაში გრძელდებოდა (ძვ. წ. 167—37 წწ.).

6) არისტობულე მღდელთ-მოძღუარი — იუდეველთა მეფის ალექსანდრე იანაის (მეფობდა ძვ. წ. 105—79 წწ.) უმცროსი ვაჟი, მეფე ჰირკანოსის ძმა. მან ძვ. წ. 70 წელს ჰირკანის განდევნა ტაბ-ტიდან და თეთით დაიდგა სამეფო გვირგვინი. ჰირკანოსა და არისტობულეს შორის გამუდმებულმა ბრძოლებმა, იუდეაში ატენილმა სოციალურმა და რელიგიურ-დინასტიურმა უთანხმოებამ საშუალება მისცა პომპეუსს დაემორჩილებინა იუდეველთა სამეფო.

იერუსალიმის აღების (ძვ. წ. 63 წ.) შემდეგ პომპეუსმა დაატყ-

ვევა არისტობულე და იგი თავის მესამე ტრიუმფში გაატარა ძვ. წ. 61 წელს. არისტობულე ტყვეობიდან გაიქცა ძვ. წ. 56 წელს და კვლავ დაიწყო ტახტისათვის ბრძოლა. იგი ხელმეორედ შეიპყრდს. ძვ. წ. 49 წელს არისტობულე გაათავისუფლა იულიუს კეისარმა, მაგრამ პომპეუსის მომხრეებმა იგი მოწამლეს.

7) კეისარი პრომთად — აქ ავტორს მხედველობაში ჰყავს გაიუს იულიუს კეისარი.

8) პომპეუს ხვახალარი — პომპეუსი, რომის დიდი მხედართ-მთავარი (ძვ. წ. 106—48 წწ.). მის სახელთან არის დაკავშირებული რომისადმი მთელი დასავლეთი აზიის დამორჩილება. ძვ. წ. 48 წელს კეისართან ბრძოლაში დამარცხების შემდეგ პომპეუსი ეგვიპტეში გაიქცა, მაგრამ აქ იგი ერავულად მოკლეს პელუშიუმთან. მკელე-ლებმა მისი თავი მიართვეს კეისარს, რომელმაც სასტიკად დასაჭა ისინი. პომპეუსის საფლავზე უცნობი პირის მიერ შემდეგი ეპიტა-ფიაა წარწერილი: „პატარა ბორცვი ფარავს აქ იმას, ვინც ტაძრებს ფლობდათ“ (ალ. წერეთე ლ. ი, ძველი რომი, თბ., 1961, გვ. 240).

9) ძვ. წ. 63 წელს პომპეუსმა იილო იერუსალიმი, შეიპყრო იუდე-ელთა მეფე არისტობულე და იუდეის ნომინალურ მმართველად ჰირკანოსი დანიშნა. ძვ. წ. 61 წელს რომისაკენ საზეიმო მსვლელობისას დიდებული მხედართმთავრის პომპეუსის ეტლის წინ მიღიოდნენ და-მარცხებული ქვეყნების მეფეები, უმაღლესი მოხელენი, სარდლები და სხვა. მათ შორის იყვნენ: ტიგრან მეფის ვაჟი ტიგრანი, მითრიდატეს ხუთი ვაჟი, კოლხთა ბატონი ოლთაე და იუდეველთა მეფე არისტო-ბულე. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მეტყველებს, რომ პომპეუსის გამა-რჯვების შედეგად იუდეის სახელმწიფომ ფაქტიურად დაკარგა და-მოუკიდებლობა. (Иосиф Флавий, Иудейские древности, т. II, СПб, 1900, გვ. 72—77; Appianus Alexandrinus, De rebus Syriacis (Romanarum historiarum), Parisiis, 1840, გვ. 50; Г. М. Лившиц, Классовая борьба в Иудее и восстания против Рима, Минск, 1957, გვ. 124).

10) ორკანოსი — ჰირკანოსი, არისტობულეს ძმა (იხ. შენ. 6; შენ. 9). მაყაბელთა დინასტიის წარმომადგენელი. ძვ. წ. 47 წელს კეისარმა ჰირკანოსი დანიშნა იუდეის პროკურატორად ანტიპატროს-თან ერთად (იხ. შენ. 23). ძვ. წ. 40 წელს იერუსალიმის დაპყრობი-

სას პართელებმა შეიძყრეს ჰირკანოსი და მის ნაცვლად დანიშნეს
ანტიგონე. ძვ. წ. 36 წელს ჰირკანოსი დაბრუნდა იერუსალიმში,
საღაც იგი მოკლულ იქნა ჰეროდე დიდის (იხ. შენ. 5) მიერ, რომელ-
შაც დაიკავა იუდეველთა ტახტი და იქორწინა ჰირკანოსის ქალი-
შვილ მარიამნაზე.

11) ანტიპატროს — ჰეროდე დიდის მამა, იდუმეიის მმართვე-
ლი. იულიუს კეისარმა ძვ. წ. 47 წელს ალექსანდრიის ომის დროს
მისთვის გაწეული დიდი დახმარებისათვის ანტიპატროსი დანიშნა
იუდეის პროკურატორად და მას რომის მოქალაქის საპატიო წოდე-
ბაც უბორა. ანტიპატროსმა იუდეა ორ ნაწილად გაუყო თავის ვა-
ჟებს — ფაზაილსა და ჰეროდეს. ჰირკანი იყო იერუსალიმის მმართ-
ველი, მეორე კი — გალილეისა. ძვ. წ. 43 წელს ანტიპატროსი მო-
წამლეს.

12) ჰირკანოსი პართელებმა შეიძყრეს იერუსალიმის ალებისას ძვ.
წ. 40 წელს და მის ნაცვლად იუდეის მეფე გახდა ანტიგონე (ძვ. წ
40—37 წწ.). ანტიპატროსი მოწამლულ იქნა ძვ. წ. 43 წელს. მაშა-
სალამე, აქ ტექსტში მცირეოდენი უზუსტობაა ჰირკანოსის დატყვევე-
ბის, ანტიპატროსის მოკლისა და ჰეროდე მეფის გამეფების თარიღებ-
თან დაკავშირებით. (Иосиф Флавий, Иудейские древности..., т. II, გვ. 107—113; Иосиф Флавий о войне иудейской..., ч. I, СПб, 1804, გვ. 104—110).

13) ძვ. წ. 40 წელს რომში სენატმა ჰეროდე იუდეველთა მეფედ
გამოაცხადა. მაგრამ ფაქტიურად ძვ. წ. 40 წ.-დან 37 წ-მდე „ჰურიას-
ტანს“ მართავდა ანტიგონე, რომელმაც თავისი მმართველობის წლე-
ბი ჰეროდესთან ბრძოლას მოანდომა. მხოლოდ ძვ. წ. 37 წელს მო-
ახერხა ჰეროდემ იუდეის სამეფო ტახტის დაკავება (Иосиф Флавий,
Иудейские древности..., т. II, გვ. 115—116, Иосиф Флавий о войне иудейской..., ч. I, გვ. 110—113).

14) აგვეტოს კეისარი — გაიუს იულიუს კეისარი ოქტავიანე,
ავგუსტუსი, რომის იმპერატორი (ძვ. წ. 27 — ახ. წ. 14 წწ.).

15) კლეოპატრა დედოფალი — ეგვიპტის დედოფალი ძვ. წ.
48—30 წწ.). მეფე პტოლემაიოს ავლეთას ქალიშვილი, მარკუს ან-
ტონიუსის (რომის იმპერიის აღმოსავლეთი ნაწილის მმართველი)
მეუღლე.

16) იგულისხმება გაიუს იულიუს კეისარ ოქტავიანე ავგუსტუ-
სის ლაშქრობა ეგვიპტეში ძვ. წ. 30 წელს.

17) აქციუმის კონცხთან მომხდარი ბრძოლის შემდეგ (ძვ.წ. 31 წლის 2 სექტემბერი) კეისარმა ავგუსტუსმა გაანადგურა მარკუს ანტონიუსისა და კლეოპატრა დედოფლის (იხ. შენ. 15) ფლოტი. და მარცხებულებმა სცადეს საზაო ხელშეკრულების დადება, მაგრამ ამაოდ ავგუსტუსი ხელმეორედ მოადგა ეგვიპტის ნაპირებს ძვ. წ. 30 წელს. გადამწყვეტ ჟამს მარკუს ანტონიუსის ჭარი ავგუსტუსის მხარეს გადავიდა. ანტონიუსმა თავი მოიკლა. თვითმევლელობით და ასრულა ასვევ სიცოცხლე ეგვიპტის დედოფლამა კლეოპატრამაც. ეგვიპტის უკანასკნელი დედოფლის კლეოპატრას სიკვდილის შემდეგ ეგვიპტემ საესებით დაკარგა დამოუკიდებლობა და რომის იმპერიის პროვინციად გამოცხადდა.

ქართული ტექსტის მიხედვით, ყოველივე ეს მომხდარა ავგუსტუსის მეფობის მეთორმეტე წელს. ბერძნულ კერძიაშიც აღნიშნულია მეთორმეტე წელი (ჟარიანტში — მეტამეტე, იხ. P. Gr., t. 87, col. 4028). ავტორი აქ, უთუოდ, ავგუსტუსის გამეფების თარიღად ვარაუდობს ძვ. წ. 44 წელს, როდესაც იგი, თულიუს კეისრის სიკვდილის შემდეგ. რომის იმპერიის დასავლეთი პროვინციების მმართველი გახდა. ავგუსტუსი რომის იმპერიატორად მხოლოდ ძვ. წ. 27 წელს იქნა გამოცხადებული (იხ. შენ. 26). (Иосиф Флавий, Иудейские древности... т. II, гл. 144, Иосиф Флавий о войне иудейской... , ч. I, гл. 125—129).

18) ძვ. წ. 30—29 წწ. ეგვიპტეში ლაშქრობის დროს ჰეროდეს მიერ გაწეული დიდი დახმარებისათვის ავგუსტუსმა მას დაუბრუნა მთელი რიგი რაიონებისა, რომლებიც კლეოპატრა დედოფლას ჰქონდა მიტაცებული. რომის იმპერიატორის უშუალო ჩარევითა და დახმარებით ჰეროდემ მოახერხა ძალაუფლების განმტკიცება.

ქართულ ტექსტში ვკითხულობთ, რომ კეისარმა „ყო იგი მეფე ჰურისტანსა ზედა და მუნქეუსევე დაადგა გვრგვნი მეფობისაა“. სინამდვილეში ჰეროდე რომის სენატმა მეფედ გამოაცხადა ძვ. წ. 40 წელს, ხოლო სამეფო ტახტი მან მხოლოდ ძვ. წ. 37 წელს დაიკავა (იხ. შენ. 5). (Иосиф Флавий о войне иудейской..., ч. I, гл. 129—131).

19) ძვ. წ. 31 წელს ავგუსტუსი რომში დაბრუნდა, სადაც ტრიუმფი გადაიხადა. ანტონიუსის დამარცხების შემდეგ იგი — გაიუს იულიუს კეისარი ოქტავიანე ავგუსტუსი — გახდა რომის იმპერიის ერთპიროვნული მმართველი.

20) ჰეროდე დიდის გამეფებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მთელს იუდეაში. საბრძოლო მოქმედებები წარმოებდა ოთხშემის მთელი მისი მეფობის დროს (ძვ. წ. 37—4 წწ.). ამაზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტიც, რომ რომში სენატის მიერ ძვ. წ. 40 წლის მეფედ გამოცხადებულმა ჰეროდემ მხოლოდ სამი წლის შემდეგ შეძლო სამეფო ტახტის დაკავება.

ავტორი აღნიშნავს ჰეროდეს შესახებ, რომ „არა ინებეს ჰერიათა შეწყნარებად მისი, ვინახთვან იყო იგი უცხოთესლი“. ამ შემთხვევაში ავტორს მხედველობაში აქვს ჰეროდე დიდის იღუმეიდან წარმოშობა და რა თქმა უნდა ისიც, რომ იგი არ იყო ხასმონელთა დინასტიის წარმომადგენელი. (Иосиф Флавий, Иудейские древности..., т. II, გვ. 112—129; Иосиф Флавий о войне иудейской..., ч. I, გვ. 110—129; M. A. Levy, Geschichte der jüdischen Münzen, Leipzig, 1862, გვ. 65—67; Schürer, Geschichte des jüdischen Volkes, B. I, Leipzig, 1901, გვ. 355).

21) ახ. წ. 6 წელს ავგუსტუსმა პრიანა მოსახლეობისა და ქონების საყველთაო აღწერის ჩატარება. ამ მიზნით სირიასა და პალესტინაში გაგზავნილ იქნა სენატორი კვირიონი (იხ. ლუკა 2,1—4).

კვირიონს სირიაში მეფის ნაცვალის თანმდებობა ეკვა ძვ. წ. 3—2 წწ. და ახ. წ. 6—7 წწ. (Г. М. Лившиц, Классовая борьба..., გვ. 192, Иосиф Флавий, Иудейские древности..., т. II, გვ. 127—295).

22) ახ. შენ. 21.

23) ქრისტეს დაბადების თარიღის აღნიშვნისას ქართული თარგმანი მიჰყვება ბერძნულ ვერსიას, ორივე ტექსტის მიხედვით ქრისტე დაიბადა „აგვისტოს კეისრის“ მეფობის „ორმოცდამეორე“ წელს, ხოლო „ოცდამეცამეტესა წელსა მეფობასა ჰეროდე ანტიატროსის ძისასა“ (იხ. ქართული ტექსტი, გვ. 13—14, ბერძნული — P. Gr., t. 87, col. 4029—4032).

ჩაც შეეხება ქრისტეს დაბადების თვესა და რიცხვს, ქართული ასახელებს 25 დეკემბერს, ბერძნული — 6 იანვარს (К. Кекелидзе, К вопросу о времени празднования Рождества Христова в древней церкви, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიდან, ტ. VII, თბ., 1961, გვ. 259, 264).

24) თოხებ—მარიამის ქმარი, დავითის ძე (მათე, 1,18—20).

25) იხ. შენ. 5 — აქ ავტორი პეროდე დიდის გამეფების თარიღდ მიიჩნევს ძვ. წ. 40 წელს, როდესაც იგი რომის სენატში იუდე-ველთა მეფედ გამოაცხადა (იხ. შენ. 13). მაგრამ, ფაქტოურად, პეროდემ სამეფო ტახტი მხოლოდ ძვ. წ. 37 წელს ჩაიგდო ხელთ. მაშასადამე, ავტორი მის სიკვდილს (მეფობის ოცდამეჩედმეტე წელს) თვლის ძვ. წ. 40 წლიდან და ამით ეთანხმება ძველი საეკლესიო ავტორების მიერ დასახელებულ თარიღს (Иосиф Флавий, Иудейские древности..., т. II, გვ. 265.).

26) არქელაოს იხ. შენ. 27.

27) პეროდე დიდის ვაჟები: 1. არქელაოხი (ძვ. წ. 4 წ. — ახ. წ. 6 წ.). რომის იმპერატორ ავგუსტუსისაგან მას ეთნარხის წოდება ებოძა. მის სამფლობელოში შედიოდა იდუმეია, იუდეა და სამარია. 2. პეროდე — პეროდე ანტიპა — ტეტრარხის წოდებით მართავდა გალილეასა და პერეიას (ძვ. წ. 4 წ.—ახ. წ. 39 წ.). 3. ფილიპე — (ძვ. წ. 4 წ. — ახ. წ. 33/34 წწ.), ტეტრარხი, ბატეიის, ტრახონიტიდის, გავლანიტიდის, პანეადასა და ავრანიტიდის მფლობელი.

პეროდე დიდის ვაჟებთან ერთად ტექსტში დასახელებულია „ლუსანია“ (ἰ.σανίας col. 4033), როგორც პეროდეს ერთ-ერთი ვაჟი და ოუდეის სამეფოს მეოთხედი ნაწილის მფლობელი. ჩვენი აზრით, აქ ლაპარაკი უნდა იყოს ლისანიაზე, რომელიც იყო პროლემაიოსის ვაჟი, აბილინის მმართველი. იგი მოაკვლევინა მარკუს ანტონიუსმა, კლეოპატრა დედოფლის მითითებით (Г. М. Лившиц, დასახ. ნაშრომი., გვ. 218. Иосиф Флавий, Иудейские древности..., т. II, გვ. 142, 376, 405).

შეაროების მიხედვით, პეროდეს სამეფო მხოლოდ მის ვაჟებს შორის განაწილდა, რამდენიმე ქალაქის შემოსავალი კი მიეკუთვნა პეროდე დიდის დას სალომეას (Иосиф Флавий, Иудейские древности..., т. II, გვ. 265).

28) არქელაოსის „მეფობის უამი“ აღესრულა ახ. წ. 6 წელს, როდესაც ავგუსტუსმა მას წაართვა ეთნარხის წოდება.

29) ავგუსტუსი გარდაიცვალა ახ. წ. 14 წელს კამპანიის ქალაქ ნიოლაში, 76 წლის ასაქში (იხ. შენ. 14). ტექსტში დასახელებული თარიღი არ არის ზუსტი, ავტორი იმეორებს ფლავიუსის მიერ მოწოდებულ თარიღს (Иосиф Флавий, Иудейские древности..., т. II, გვ. 296).

30) ტიბერიოს — ტიბერიუს კლავდიუს ნერონი ანუ ტიბერიუს

კეისარი აეგუსტუსი, რომის იმპერატორი, გაიცა იულიუს ოქტავიანე ავგუსტუსის გერი, რომის იმპერატორი (ახ. წ. 14—37 წწ.).

31) პილატე — პალესტინის მმართველი (ახ. წ. 26—36 წწ.). პილატეს მმართველობის პერიოდს უკიდურესა სახარებაში აღნიშნული თითქმის ყოველი ძარითადი მოვლენა.

32) ოვანე — ოოვანე ნათლისმცემელი. მისი გამოჩენა ივარაუდება დაახლ. ახ. წ. 28 წელს (იხ. ლუკა 3,1—2).

33) იხ. პეროდე ანტიპა, შენ. 27,2.

34) არეტა მეფე — არაბეთის მეფე არეთა VI, პეროდე ანტიპას სიმამრი. მის დროს სურდათ პავლე მოციქულის დატყვევება (დაახლ. ახ. წ. 38 წ.).

35) ეროდია — პეროდე დიდის შვილიშვილი, საკუთარი ბიძის ფილიპეს მეუღლე. იგი მეუღლის სიცოცხლეშივე დაუახლოვდა პეროდე ანტიპას (ფილიპეს ძმას), რითაც ხალხის რისხვა გამოიწვია. ოოვანე ნათლისმცემელმა ისინი საჯაროდ ვანკიცხა. ამის გამო პეროდემ დატყვევა იოვანე ნათლისმცემელი და თავი მოჰკვეთა. (მათ 14,1—12; მარკოზი 6,14—29; ლუკა 9,7—9).

36) იგულისხმება დაახლ. ახ. წ. 36 წელს არეთა მეფის ბრძოლა პეროდე ანტიპასთან. (იხ. Иосиф Флавий, Иудейские древности..., т. II, გვ. 306—310).

37) შდრ. Иосиф Флавий, Иудейские древности..., т. II, გვ. 300. Eusebius, The Ecclesiastical History, v. I, London, 1965, გვ. 97.

38) იხ. Eusebius, The Ecclesiastical History..., v. I, გვ. 111.

39) იქვე, Eusebius, The Ecclesiastical History, v. I, გვ. 111—112.

40) პეროდე ანტიპა და მისი მეუღლე პეროდია ვანდევნილ იქნებ გალიის მხარეს ქ. ლუგდუნუმში, დღევანდელი ლოონი. (Г. М. Лившиц, დასახ. ნაშრომი, გვ. 218; Иосиф Флавий, Иудейские древности..., т. II, გვ. 325; Eusebius, The Ecclesiastical History, v. I, გვ. 117).

41) „ბოროტად მროკვალ ქალში“ იგულისხმება პეროდიას ქალიშვილი სალომეა, რომელმაც პეროდე ანტიპას იოვანე ნათლისმცემლის თავი სთხოვა (იხ. მათ 14,6—12; მარკოზი 6,21—29).

42) ტიბერიუს კეისარი გარდაიცვალა ახ. წ. 37 წელს. (იხ. შენ. 30).

43) გაითხოვთ — გაიუს კეიისარი, კალიგულა, რომის იმპერატორი (ახ. წ. 37—41 წწ.).

44) პილატეს მმართველობის სიმკაცრემ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია პალესტინის მოსახლეობაში და ამის გამო ვიტელიუსმა (სირიის მმართველი) იუდეის პროკურატორად დანიშნა მარცელი-უსი, ხოლო პილატე კი გაგზავნა რომში, რათა პასუხი ეგო ტიბერიუს კეიისრის წინაშე. მაგრამ პილატეს რომში ჩასვლამდე ტიბერიუსი გარდაიცვალა (ახ. წ. 37 წ.).

კალიგულას მეფობის დროს პილატე მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და თავი მოიკლა. პილატეს სახელთან და მისი თვეოთმეცვლელობის ფაქტთან მრავალი ლეგენდა არის დაკავშირებული. ერთ-ერთი ასეთი ლეგენდის გამოხახილი უნდა იყოს ჩვენს ტექსტშიც. (Иосиф Флавий, Иудейские древности..., т. II, гл. 303—304; Eusebius, The Ecclesiastical History, v. I, гл. 123—127).

45) ივულისხმება კალიგულას მმართველობის წინააღმდეგ ებრა-ელი მოსახლეობის უკმაყოფილება და ბრძოლა ახ. წ. 38—41 წლებში. (Иосиф Флавий, Иудейские древности..., т. II, гл. 326—332; Eusebius, The Ecclesiastical History, v. I, гл. 121—125).

46) აგრიპა — აგრიპა I, არისტობულეს ძე, ჰეროდე დიდის შვილიშვილი, კალიგულას მეგობარი, რომლის დახმარებითაც ახ. წ. 37 წელს იგი გახდა ჰეროდე ფილიპეს ტეტრარხის მფლობელი. ხოლო ახ. წ. 39 წელს მას ასევე შემოუერთდა განდევნილი ჰეროდე ანტიპას სამეფოც. იუდეაში იგი მეფობდა ახ. წ. 44 წლამდე. მის დროს იწამა წმინდა მოციქული იაკობი და საბყრობილეში იქნა ჩაგდებული პეტრე (საქმე მოციქულთა 12,2—3; Иосиф Флавий, Иудейские древности..., т. II, гл. 330—387; Eusebius, The Ecclesiastical History, v. I, гл. 129—133).

47) აგრიპა I გარდაიცვალა ახ. წ. 44 წელს 54 წლის ასაკში. ივარაუდება, რომ იგი მოწამლეს (Иосиф Флавий, Иудейские древности..., т. II, гл. 383—387; Eusebius, The Ecclesiastical History, v. I, гл. 129—133).

48) იაკობ მართალი — „ძმად უფლისად“, იერუსალიმის პირველი ეპისკოპოსი (33—62 წწ.). (მარკოზი 15,40; გალატელთა 1,19).

49) აგრიპა — აგრიპა II, აგრიპა პირველის ვაჟი, იუდეეველთა მეფე (59—93 წწ.). (იხ. საქმე მოციქულთა 25,13).

50) კლავდიოს — კლავდიუს კეიისარი, რომის იმპერატორი (41—57 წწ.). კალიგულას ბიძა, გერმანიკეს ძმა.



51) **ნერონი** — ლუციუს კლავდიუს ნერონი, რომის იმპერატორი (57—68 წწ.).

52) იგულისხმება ნერონის მეფობის დროს ქრისტიანთა საშინელი დევნა (64—68 წწ.). ამ დროს, საეკლესიო მწერალთა აზრით, ეწამენ ასევე პეტრე და პავლე მოციქულებიც (იხ. 2 ტიმოთე 4, 6—8; ოთხე 21, 18; Eusebius, The Ecclesiastical History, v. I, 83. 179—183).

53) **პეტროს მთავარი** — იუდეის მთავარი (60—62 წწ.).

54) „იაკობ მართალის“ სიკვდილის თარიღი წყაროებში მერყობს 62—66 წლებს შორის (Иосиф Флавий, Иудейские древности..., т. II, гл. 412; Eusebius, The Ecclesiastical History, v. I, гл. 177).

55) პეტროდე აგრიპა რომში წავიდა დაახლ. 65—66 წწ.

56) **ხასახანოს** — ტარე ფლავიუს ვესპასიანე, რომის იმპერატორი (69—79 წწ.). კეისარ ნერონის დროს იგი იყო იუდის პროკონსული, შემდეგ კი რომის ჯარების მთავარსარდალი (66—69 წწ.).

57) იხ. **Иосиф Флавий**, Иудейские древности..., т. II, гл. 381—383.

58) 66 წელს ნერონმა ვესპასიანე დანიშნა რომის ჯარების მთავარსარდალ იუდეველთა აგანუების ჩასახშობად. 67 წელს ვესპასიანემ ხელთ იგდო მთელი გალილეა, 68 წელს იუდეის უმეტესი ნაწილი და მიადგა იერუსალიმს (Иосиф Флавий о войне иудейской..., ч. II, СПб, 1812, гл. 7—8).

59) იოსებ ფლავიუსის აზრით, იერუსალიმის ალყის დროს ვესპასიანე ხელსაყრელ მომენტს ელოდა, რომ სამოქალაქო ომით (67—68 წწ.) დასუსტებული ქალაქი უფრო იოლად დაეპყრო (Иосиф Флавий о войне иудейской..., ч. II, гл. 102—103).

60) კეისარმა ნერონმა თეოთმევლელობით დაასრულა სიცოცხლე 68 წლის ზაფხულში, 31 წლის ასაკში, სამშობლოდან განდევნილმა და სიკვდილმისჯილმა.

61) **გალბოს** — სერვიუს სულპიციუს გალბა, რომის იმპერატორი. 68 წლის ზაფხულში სენატმა იგი იმპერატორად გამოაცხადა, 69 წლის იანვარში პრეტორიანელებმა მოკლეს.

62) **ათონ** — მარკუს სალვიუს ოტონი, რომის იმპერატორი იუმხოლოდ 95 დღის განმავლობაში. 69 წლის აპრილში თავი მოიკლა.

63) **ბატოლომე** — აკლუს ვიტელიუსი, რომის იმპერატორი, 69 წლის ივლისიდან დეკემბრამდე.

64) ვესპასიანე ომის იმპერატორად გამოცხადდა 69 წლის დეკემბერში.

65) ტიტოს — ტიტე, ვესპასიანეს ვაჟი, ომის იმპერატორი (79—81 წწ.). 70 წელს მან აიღო იერუსალიმით.

66) დუმენტიანოს — ტიტე ფლავიუს დომიციანე, ვესპასიანეს უმცროსი ვაჟი, ომის იმპერატორი (81—96 წწ.).

67) ანტარციან — ბერძნ. ონთარიო τὸ — წინამძღვარი, მეთაური. ქართულ ტექსტში ეს საზოგადო სახელი გაგებულია, როგორც საკუთარი სახელი.

68) ტექსტში იგულისხმება ვიტელიუსის სიკვდილი. ვესპასიანეს ჭარისკაცებმა მას თავი მოჰკვეთეს, ხოლო სხეული კი ტიბროსში გადაგდეს.

69) ტიტემ იერუსალიმი აიღო 70 წელს.

70) იერუსალიმში გამეფებულ შიმშილსა და გაჭირვებაზე შესანიშნავად მოგვითხრობს იოსებ ფლავიუსი: Иосиф Флавий о войне иудейской..., ч. II, гл. 177—180.

71) ხვამინ ძვ კლეოპატრი — იერუსალიმის მეორე ეპისკოპოსი. 107 წელს იგი იწამა იუდეის მმართველის ათიერს დროს.

72) იბ. შენ. 56.

73) იბ. შენ. 65.

74) იბ. შენ. 66.

75) ქრისტიანთა დევნის შესახებ დომიციანეს დროს იბ. Eusebius, The Ecclesiastical History, v. I, гл. 237—241.

76) იბ. შენ. 66.

77) ნერონ — მარკუს კოკცეიუს ნერვა, ომის იმპერატორი (96—98 წწ.).

78) ტრადანოს — მარკუს ულპიუს ტრადანე, ომის იმპერატორი (98—117 წწ.).

79) ამის შესახებ იბ. Eusebius, The Ecclesiastical History, v. I, гл. 273—279.

80) ეგნატი — ანტიოქიის მთავარეპისკოპოსი (35—107 წწ.). იოანე ლვითისმეტყველის მოწაფე. იწამა 107 წლის 20 დეკემბერს რომში ტრადანეს ბრძანებით.

81) იბ. შენ. 71.

82) იგულისხმება იუდეელთა 115—117 წწ. აჯანყება. აჯანყების მიზეზი იყო ტრადანეს დროს ომის დამპყრობლური პოლიტიკა. აჯანყებამ მოიცვა კირენა, ეგვიპტე და კუნძული კვიპროსი. შეთქმუ-

ლებს სათავეში ედგა, ევსევის ცნობით, ლუკასი (Eusebius, The Ecclesiastical History..., v. I, გვ. 305—307). აგანყება ჩამომძირი იქნა რომელი სარდლების ლუციუს კვიეტუსისა და მარციუს ტურბონის მეთაურობით. (T. Reinach, Texts d'auteurs grecs et romains, Paris, 1895, გვ. 153—154).

83) ედერიანოს — პუბლიუს ელიუს აღრიანე, რომის იმპერატორი (117—138 წწ.).

84) იგულისხმება „ედერიანოს“ (აღრიანეს) დიდი გატაცება მოგზაურობით. 121—126 წლებში მან თითქმის ფეხით შემოიარა გალია, გერმანია, ბრიტანეთი, შოტლანდია, ესპანეთი, აფრიკა, ეგვიპტე, წინა აზია. შემდევ ისევ ევროპა, ბალკანეთი. 124 წელს იყო იყო საბერძნეთში, 126 წელს — სიცილიაში, ხოლო შემდევ დაბრუნდა რომში. 128 წელს კვლავ მოიარა აფრიკა, 129 წელს — საბერძნეთი, მცირე აზია, სირია, პალესტინა, ეგვიპტე (Dio Cassius Cocceianus, Historiarum Romanarum, edidit Ursulus Philippus Boissevain, Berolini, 1895—1901, გვ. 69, 9; W. Webber, The Cambridge Ancient History, vol. XI, 1936, გვ. 318—319).

85) ედერიანოსმა („აღრიანე“) მოინდომა დანგრეული იერუსალიმის აღდგენა. მას სურდა იერუსალიმის ტერიტორიაზე დაეპისებინა რომაული კოლონია „ელია კაპიტოლიუმელის“ სახელწოდებით, ხოლო იელოვას ტაძრის აღილზე აეგო „იუპიტერ კაპიტოლიუმელის“ ტაძარი.

86) დიონ კასიუსის ცნობით, იერუსალიმის ასეთი აღდგენის სურვილი გახდა იუდეველთა 132—135 წწ. აგანყების მიზეზი. (Dio Cassius Cocceianus, Historiarum Romanarum:..., გვ. 69, 12). როგორც ტექსტით ირკვევა, ალექსანდრე კვიპრელიც იმპორტებს დიონ კასიუსის ამ ცნობას. ამ აგანყების გამომწვევი მიზეზების შესახებ მრავალი ლეგენდა არსებობს. ერთ-ერთის მიხედვით (თალ-მულური ლეგენდა), აგანყების მიზეზი გამხდარა რომელი ჯარისკაცების თავდასხმა საქორწილო პროცესიაზე (Bab. Талмуд, Трактат Гиттин, Вильна, 1912, 57a).

ფაქტოურად კი, იუდეველთა ამ მნიშვნელოვანი აგანყების (132—135 წწ.) მიზეზი იყო პალესტინის მოსახლეობის მძიმე სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობა, მისი უუფლებობა და რომაელ დამპურობთა ბატონობისაგან განთავისუფლების დიდი სურვილი. ხოლო რაც შეეხება იერუსალიმის აღდგენისა და რომაულ კოლონიად გადაქცევის, რელიგიური აღათ-წესების აქტალვის, ყოველივე

ამან მხოლოდ გააძლიერა პალესტინის მოსახლეობის უკმაყოფილება და დააჩქარა აჯანყების დაწყება.

87) ბართოშიბა — ვინე სიმონი, „ბარ-კოხბად“ წოდებული („ძე ვარსკვლავისა“), იუდეველთა აჯანყების (132—135 წ.) მეთაური, რომელმაც თავი მესიად გამოაცხადა. მან მონეტაც კი მოაჭრევინა, რომლის ერთ მხარეზე ეწერა „ბარ-კოხბა“, მეორეზე — „თავისუფლება იერუსალიმს“.

აჯანყებულთა დამარცხების შემდეგ „ბარ-კოხბას“ ხალხმა „ბარ-კოზიბა“ („ძე სიცრუისა“) შეარქვა (Eusebius, The Ecclesiastical History..., v. I, ვ. 31).

88) იუდეველთა აჯანყება ჩახშობილ იქნა 135 წელს იულიუს სეკვერუსის მეთაურობით, რომელსაც ამ გამარჯვებისათვის უბოძეს «ornamenta triumphalia», (იხ. Г. М. Лившиц, Классовая борьба в Иудее..., ვ. 326).

89) აჯანყების ჩახშობისას იერუსალიმში გამეფებული შემშილისა და მოსახლეობის საშინელი მდგომარეობის შესახებ ცნობებს გვაწვდიან: Chronicon Samaritanum, ed. Juynboll, 1848, ვ. 47; Eusebius, The Ecclesiastical History, v. I, ვ. 311—313. Г. Греци, История евреев от древнейших времен до настоящего, т. V, Одесса, 1906, ვ. 120.

90) აჯანყების ჩახშობისას (135 წ.) საზარელი ხოცვა-ულეტის შემდეგ, დიონ კასიუსის ცნობით, დაიღუპა 580000 ებრაელი (Dio Cassius Cocceianus, Historiarum Romanarum..., ვ. 69, 14). მისივე ცნობით, თითქმის მთელი ჰურიასტანი უდაბნოდ გადაიქცა (იხ. იქვე, 69, 14). ებრაელთა მასიური განადგურების შესახებ ცნობებს გვაწვდის ასევე ევსევი კესარიელი (Eusebius, The Ecclesiastical History, v. I, ვ. 311—313).

იმპერატორმა აღრიანებ გამოსცა მკაცრი ედიქტები ებრაელი მოსახლეობის წინააღმდეგ, რომელთა მიხედვითაც მოსახლეობას უკრძალებოდა სხვადასხვა რელიგიური რიტუალისა და აღათ-ჩვეულების შესრულება. აღრიანებს ბრძანებით, ყოველ ებრაელს ასევე კრძალებოდა მიახლოებოდა იერუსალიმს და ფეხი დაედგა მის მიწაზე. (Eusebius, The Ecclesiastical History, v. I, ვ. 311—313. Иероним, Творения, ч. 5, Киев, 1910, და მრავალი სხვა).

91) იერუსალიმის ნანგრევებზე რომაული „ელია კაპიტოლიუმელი“ აშენდა, ხოლო იელოვას ტაძრის აღგილზე „იუპიტერ კაპიტოლიუმელის“ ტაძარი აღიმართა, რომლის შიგნითაც რომის

იმპერატორის ქანდაკება დაღვეს. ახალ ქალაქში დასახლდნენ „უცხონი თესლი“: ბერძნები, სირიელები — რომაელი კოლონისტები.

92) იერუსალიმის ეპისკოპოსები:

ქართული ტექსტის
მიხედვით

სინამდვილეში

1. იაკობ-ქადაგ უფლისაა	იაკობ I მოციქული 33—62 წწ.
2. სვემონ-ძე კლეოპატასი	სიმეონი I 62—107 წწ.
3. იოსტოს	იუსტე ანუ იუდა 107—111 წწ.
4. ზაქე	ზაქე ანუ ზაქარია — 9 წელი.
5. ტომია	ტომია — 2 წელი.
6. ბენიამენ	ბენიამინი — 2 წელი.
7. იოვანე	იოანე 1—2 წელი.
8. მახათია	მათე — 1 წელი.
9. ფილიპე	ბენიამინე II ანუ ფილიპე — 124 წელს.
10. სენაკა	სენეკა — 1 წელი.
11. იოსტოს	იუსტ II — 5 წელი.
12. ლევი	ლებეოს — 2 წელი.
13. ეფრემ	—
14. იოსეფ	იოსებ — 1 წელი, ზოგის აზრით — 5 წელი.
15. იუდა	იუდა ანუ კირიაკე — 135 წელს.

(მდრ. Eusebius, The Ecclesiastical History, v. I, გვ. 311).

93) იერუსალიმის პირველი მოოხრებიდან მის მეორედ დაპყრობამდე ქართულ ტექსტში მითითებულია 50 წელი, ბერძნულში — 58 წელი (col. 4045), ვარიანტში (№ 47) — 50 წელი. უნდა იყოს 65 წელი, რადგანაც იერუსალიმი პირველად დაიპყრო იმპერატორმა ტიტემ 70 წელს, ხოლო მეორედ იერუსალიმი მოახრეს 135 წელს „ელია დევრიანოსის“ — ადრიანეს დროს.

94) მარკოზ — მარკოზ I, იერუსალიმის ეპისკოპოსი (135—143 წწ. ან 135—156 წწ.).

95) გოლგოთაზე იმპერატორ ადრიანეს ბრძანებით იერუსალიმის მოოხრების შემდეგ აშენებულ იქნა აფროდიტეს ტაძარი (136—138 წწ.).

96) ანტონინოს ევხებოთს — ანტონინუს პიუსი, რომის იმპერატორი (138—161 წწ.).

7. ალექსანდრე კეიპრელის ქრისტე

97) მარკოზ ავტიოლიანოს — მარკუს ავტელიუსი, რომის /ჩ-
პერატორი (161—180 წწ.).

98) მარკუს ავტელიუსის მეფობის პირველ წლებში ქრისტიანთა
ცხოვრებაში თითქმის არავითარი ცვლილებები არ მომხდარა. იმპე-
რიაში, ჯერ კიდევ, მხოლოდ ტრაიანეს რესკრიპტი მოქმედებდა. მაგ-
რამ მარკუს ავტელიუსის მეფობის უკანასკნელ წლებში (განსაკუთ-
რებით 177 წლიდან) დაიწყო ქრისტიანთა ულმობელი, სასტიკი დევნა
და წამება. ქრისტიანთა დევნამ მოიცვა მთელი წინა აზია და გალია.
მარკუს ავტელიუსის დროს ქრისტიანი მოსახლეობის მდგომარეობის
შესახებ დაწერილებით ცნობებს გვაწვდის ევსევი კესარიელი (Eusebius, The Ecclesiastical History, v. I, გვ. 405—445).

99) 175 წლის ზაფხულში მარკუს ავტელიუსს, ქვადებთან საბრ-
ძოლველად მიმავალს, სიცხიან უწყლო ადგილზე გარს შემოერტყნენ
გერმანელები. იმპერატორს და მის ლაშქარს დალუპვა ელოდა. მაგ-
რამ მოულოდნელად წამოსულმა წვიმამ ისსნა კეიისარი და მისი ჯარი
წყურვილისა და დამარცხებისაგან. საკულესიო მწერალთა აზრით, წვი-
მის წამოსვლის მიზეზი იყო იმ ქრისტიანთა ლოცვა, რომლებიც იმ-
პერატორის ჯარში იმყოფებოდნენ. (Eusebius, The Ecclesiastical History, v. I, გვ. 445—449).

100) კომდოს — მარკუს ავტელიუსის ვაჟი მარკუს ავტელიუს
კომდოს ანტონინუსი, რომის იმპერატორი (180—192 წწ.).

101) პერტინაცე — პელვიუს პერტინაკსი, რომის იმპერატორი
193 წელს (იმპერატორი იყო 87 დღის განმაცლობაში). ამავე წელს
იმპერატორის ტახტზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ დიდიუს იუ-
ლიანე, ალბინუსი და პესცენიუს ნიგერი, ვიდრე რომის იმპერა-
ტორად არ გამოაცხადეს სეპტიმიუს სევერუსი.

102) სევეროს — სეპტიმიუს სევერუსი, რომის იმპერატორი
(193—211 წწ.).

103) ქრისტიანთა დევნა სევერუსის დროს დაიწყო დაახლოებით
მისი მეფობის მეათე წელს. ამ წელს სევერუსმა გამოსცა ბრძანება,
რომლის მიხედვითაც მოსახლეობას ეკრძალებოდა როგორც იუდეუ-
რი, ისე ქრისტიანული რელიგიის მიღება. იმდენად მკაცრი იყო ამ
დროს ქრისტიანთა წინააღმდეგ ბრძოლა, რომ ერთ-ერთი სასულიერო
მწერალი (იუდა) მას ანტიქრისტესაც კი უწოდებს (В. В. Болотов,
Лекции по истории древней церкви, т. II, СПб, 1910, გვ. 108).
ქრისტიანთა დევნამ მთიცვა რომის იმპერიის მრავალი პროვინცია,
როგორც ევროპაში ისე აზიასა და აფრიკაშიც.



104) ანტონინოს — მარქუს ავტოლიუს ანტონინუს კარაკალი, სევერუსის ვაჟი, რომის იმპერატორი (211—217 წწ.). მმის (გერმანია) მოკვლის შემდეგ მოიპოვა მან სამეფო ტახტი.

105) მაკარინოს — მარქუს ოპელიუს მაკრინუსი, რომის იმპერატორი (217—218 წწ.). წარმოშობით ნუმიდიელი მდაბიო.

106) მარქუს ოპელიუს მაკრინუსის შემდეგ იმპერატორი გახდა პელიოგაბატი (218—222 წწ.). რომის იმპერიას არ ახსოვს მსგავსი ბილწი და გარეუცნილი იმპერატორი. „ეს იყო კეისარიანული შეშლილობის უმაღლესი ფორმა“ (ლევან სანიკიძე, რომის იმპერია, პრინციპატი, თბ., 1969, გვ. 149).

აღექსანდრე კვიპრელი საერთოდ არ ახსენებს პელიოგაბატს და მაკრინუსის შემდეგ იმპერატორად ასახელებს აღექსანდრე სევერუსს: მარქუს ავტოლიუს აღექსანდრე სევერუსი (222—235 წწ.). (შრ. Eusebius, Ecclesiastical History, v. I, გვ. 67—69).

107) მარქუს ავტოლიუსის შემდეგ აღექსანდრე სევერუსის მეფობამდე იერუსალიმის ეპისკოპოსები იყვნენ:

ქართული ტექსტის მიხედვით

სინამდვილეში

1. მარქოზ	მარქოზ I 135—143 წწ. ან 156 წ.
2. კასიანოს	კასიანე — 5 წელი.
3. პოპლიოს	პუპლიოს — 5 წელი.
4. მაქსიმოს	მაქსიმე I — 8 წელი.
5. ივლიანოს	იულიანე I — 4 წელი.
6. აიოს	გაიოს I — 3 წელი.
7. კუმაქუს	სიმაქი — 2 წელი.
8. გაიანოს	გაიოს II — 1 წელი.
9. ივლიანოს	იულიანე II — 4 წელი.
10. კაპიტონ	კაპიტონი ანუ აპიონი—დაახლ. 3 წელი.
—	ილია I — დაახლ. 3 წელი.
—	მაქსიმე II — 4 წელი.
—	ანტონინე — 5 წელი.
11. ვალოს	ვალენტი — 3 წელი.
12. დოლქიანოს	დოლქიანე (დომიციანე) — 4 წელი.
13. ნარქიოს	ნარქისი 196 წლის მახლობლად.
—	დიოსი ანუ ელიოსი — 2 წელი.
14. გერმანა	გერმანიოსი (გერმანე) — 4 წელი.

(შტრ. Eusebius, The Ecclesiastical History, v. I, გვ. 467; v. II, გვ. 35—39).

108) დამეა (მამეა) — ალექსანდრე სევერუსის დედა. ალექსანდრე სევერუსი რომის იმპერატორი გახდა 14 წლის ასაკში და, ფაქტიურად, სახელმწიფოს მისი ბებია იულია მეზა და დედა დამეა განავებდნენ. იულია მეზას გარდაცვალების შემდეგ რომის იმპერიის მმართველი გახდა დამეა, რაღაც ახალგაზრდა განათლებული იმპერატორი სახელმწიფო საქმეებში, თითქმის, სავსებით არ ერეოდა.

დამეა იყო ქრისტიანთა დიდი ქომაგი. გადმოცემის მიხედვით, ანტიოქიაში ყოფნისას, დაახლ. 226 წელს, მას უნდა მოესმინა ორიგნენს ქრისტოლოგიური საუბრები.

109) გერმანელებთან ბრძოლისას (234—235 წწ.) ალექსანდრე სევერუსის წინააღმდეგ არმიაში შეთქმულება მომზადდა. 235 წლის მარტში მაინცის მახლობლად შეთქმულებმა მოკლეს იმპერატორი, შემდეგ კი მისი დედა დამეა და მხლებლებიც ამოხოცეს.

110) მაქსიმიანოს — გაიუს იულიუს მაქსიმინე, რომის იმპერატორი (235—238 წწ.). წარმოშობით თრაკიიელი.

111) გაიუს იულიუს მაქსიმინემ ქრისტიანთა დევნა იღადგინა უპირველეს ყოვლისა იმის გამო, რომ ალექსანდრე სევერუსი და მისი მორწმუნე დედა დამეა ქრისტიანებს ლმობიერად ექცეოდნენ. მან განსაკუთრებით „მღდელთ-მოძლუართა“ ამოწყვეტა ბრძანა (Eusebius, The Ecclesiastical History, v. II, გვ. 79—81). აქ უთუოდ უნდა ვიგულისხმოთ არა მარტო ქრისტიანული ეკლესიის მამათავრები, არამედ, საერთოდ, ქრისტიანული სამყაროს გამოჩენილი პიროვნებები.

ამ დროს დიდ დევნას განიცდიდა ასევე ორიგენეც, როგორც ქრისტიანი და როგორც ალექსანდრე სევერუსის კართან დაახლოებული პირი.

112) გაიუს იულიუს მაქსიმინე შეთქმულებმა მოკლეს 238 წ. ქ. აქვილეის მახლობლად.

113) გაიუს იულიუს მაქსიმინეს მოკვლის შემდეგ რომის იმპერატორად სენატმა გამოაცხადა ორი სენატორი — მარკუს კლოდიუს პუპიენუს მაქსიმე, დეციმუს ცელიუს ბალბინუსი და 14 წლის

გორდიანე III, გორდიანე I-ის შეილიშვილი, გორდიანე II-ის
ძმისწული (გორდიანე I იყო აფრიკის პროვინციის მმართველი, ხოლო
ლო გორდიანე II კი მისი ვაჟი. მაქსიმინეს საწინააღმდეგოდ, კერ
კიდევ მის სიცოცხლეში, სენატმა გორდიანე I და II რომის იმპე-
რატორებად გამოაცხადა, ხოლო თვით მაქსიმინე — სახელმწიფოს
მტრად. კართავენში ბრძოლის დროს დაიღუპა გორდიანე — ვაჟი-
შვილი, მამამ კი თავი მოიკლა).

114) გორდიონოს — გორდიანე III, რომის იმპერატორი (238—
244 წწ.) (იხ. შენ. 113).

115) ფილიპე — ფილიპე არაბი, მარკუს იულიუს ფილიპე, რო-
მის იმპერატორი (244—249 წწ.). იგი იმდენად ღმობიერად ეპყრობო-
და ქრისტიანებს, რომ ერთ-ერთი ლეგენდის მიხედვით იგი ქრისტიანად
არის გამოცხადებული. (В. В. Б о л о т о в, Лекции по истории
древней церкви, т. II, гл. 116).

ფილიპე არაბი დაიღუპა ჩრდილოეთ იტალიაში ვერონას
მახლობლად გაიუს მესიუს კვინტუს დეციუს ტრაიანესთან ბრძო-
ლის დროს, ხოლო მისი ვაჟი კი, რომელიც რომში იმყოფებოდა ამ
დროს, მოკლეს პრეტორიანელებმა 249 წელს.

116) დეციოს — გაიუს მესიუს კვინტუს დეციუს ტრაიანე ავ-
გუსტუსი, რომის იმპერატორი (249—251 წწ.). წარმოშობით პანო-
ნიერი.

117) დეციუსის მიერ დაახლ. 249—250 წწ. გამოცემულ იქნა
ედიტი, რომლის მიხედვითაც ნაბრძანები იყო ქრისტიანთა დევნა
მთელ რომის იმპერიაში. დეციუსის დროს 250 წლის 20 იანვარს
იწამე ეპისკოპოსი ფაბიანე. დეციუსის დროსვე დაიღუპა ალექსან-
დრე, იერუსალიმელი ეპისკოპოსი. ქრისტიანთა ამ დევნის დროს
იწამეს ორიგენეც, რომელიც შემდეგ დილეგში ჩააგდეს და სხვა.

დეციუსის მეფობის დროს ქრისტიანთა დევნის შესახებ ცნობებს
გვაწვდიან კართავენის ეპისკოპოსი კვიპრიანე, ალექსანდრიელი ეპის-
კოპოსი დიონისე (В. В. Б о л о т о в, Лекции по истории древ-
ней церкви, т. II, гл. 116—125).

ძალზე დაწვრილებით მოვითხობს ქრისტიანთა ამ დევნის შე-
სახებ ევსევი კესარიელი (Eusebius, The Ecclesiastical History,
v, II, гл. 93—131).

118) გოთებთან ბრძოლისას 251 წელს დაიღუპა გაიუს მესიუს
კვინტუს დეციუსი. ამის შემდეგ სენატმა იმპერატორად გამოაცხა-
და დეციუსის ვაჟი პოსტილიანე, მაგრამ იგი უეცრად გარდაიცვალა
ჭირისაგან.

119) გალოს და ბულინოს — ტრებონიანე გალუსი და მასი ვაჟი, თანამშერატორი კოლუშიანე, რომის იმპერატორები (251—253 წწ.). 253 წელს ჩრდილოეთ იტალიაში, სპოლეციუმის მახლობლად ორივენი, მამა-შვილი დაიღუპნენ მეზიის მმართველ ემილიანესთან ბრძოლაში, რომელიც რომის იმპერატორის ტახტისათვის იბრძოდა.

120) ვალერიანოს — ლუციუს ვალერიანე, რომის იმპერატორი (253—260 წწ.).

121) გალინოს — პუბლიუს ლიცინიუს გალიენუსი, ლუციუს ვალერიანეს ვაჟი, მისი თანამშერატორი (253—268 წწ.).

122) ლუციუს ვალერიანემ ქრისტიანთა წინააღმდეგ გამოსცა ორი ედიქტი, ერთი 257 წელს და მეორე 258 წელს, რომელთა მიხედვითაც ქრისტიანებს ეკრძალებოდათ ღმრთისმსახურება და აკლდამებში (καταγητήρια) შესვლა. იგი დევნიდა ქრისტიანულ ეკლესიას, როგორც ორგანიზაციას და ქრისტიანული კულტის საზოგადოებრივ ფორმებს (Eusebius, The Ecclesiastical History, v. II, 149—167).

123) 260 წელს ლუციუს ვალერიანე დაატყვევა სპარსეთის მეფე შაბურ I-მა და იგი ტყვეობაში გარდაიცვალა.

124) ლუცინიუს გალიენემ დაახლ. 260 წელს გამოსცა ბრძანება (პარიგრამათა), რომლის საშუალებითაც შეაჩერა ვალერიანეს ქრისტიანთა წინააღმდეგ მიმართული ედიქტების მოქმედება. (Eusebius, The Ecclesiastical History, v. II, გვ. 169—171).

125) ალექსანდრე იერუსალიმელი ეპისკოპოსის წამების შემდეგ 250 წელს იერუსალიმის ეპისკოპოსი ვახტა მაზაბანი (250—266 წწ.), ქართული ტექქსტის მიხედვით „მაქსიმოს“ (ბერძნ. Μαρξαθάνης col. 4049). მაზაბანის შემდეგ იერუსალიმის ეპისკოპოსია იმენიოს (267—298 წწ.). ქართული ტექქსტის მიხედვით „ლიკონიოს“ (ბერძნ. Λικέναῖς col. 4049). (Eusebius, The Ecclesiastical History, v. II, გვ. 171).

126) კლავდიოს — კლავდიუს II, რომის იმპერატორი (268—270 წწ.).

127) ავრილიანოს — ლუციუს დომიციუს ავრელიანე, რომის იმპერატორი (270—275 წწ.).

